



La Géorgie
Indépendante
Revue mensuelle
DECEMBRE
1935—№ 120

დამამბებრი
1935 წ.
№ 120

დამოუკიდებელი საქართველო

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ დ ს პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი პ ა რ ტ ი ე ბ ი ს ო რ გ ა ნ დ.

მ ი ნ ა ა რ ს ი:

მეთაური—ათი წელი.
უკან, წარსულისაკენ!
«კუსაბერ»-ის წერილის გამო.
ბ. კურული—კავკასიის კონფედერაც. ირგვლივ.
ხ. ფინცნალავა—ჩვენი ეროვნული გამძლეობა.
უცხოეთის მიმოხილვა.

ექ. თაყაიშვილი—იური მარტი.
ნაუტი—წერილი ამერიკიდან.
ნ. ი.—«აღმოს. ევროპის გამოღვიძება».
დ. შარაშიძის გარდაცვალების გამო.
ლ.—გრიგოლ კიკიანი.
«დამოუკ. საქართველოს» 1935 წ. სარჩევი.

ა თ ი წ ე ლ ი

ამ ას მეოცე ნომრით ათი წელი სრულდება მას აქეთ, რაც ქართველ პოლიტიკურ პარტიების ორგანო «დამოუკიდებელი საქართველო» პირველად გამოვიდა. გემართებს ჩვენ ამის გამო ზეიმი? რა გააკეთა ორგანომ ამ ათ წელში, იდგა ის თავის სიმაღლეზე?

პირველ კითხვაზე პასუხი ადვილია: რა ზეიმი, როცა ჩვენი სამშობლო ისევ მტრის კლანჭებშია! «დამოუკიდებელი საქართველო» ერთგულად ემსახურებოდა ჩვენს ქვეყანას, მის განმათავისუფლებელ საქმეს, ერის და მის შვილთა შეუპოვარ ბრძოლას, მაგრამ რა ცოტაა შედეგი, უმნიშვნელო... მოლოდინი კი სხვა იყო, როცა პირველი ნომერი გამოვიდა, რადგან არავის ეგონა ას მეოცეც აქ, უცხოეთში, გამოვიდოდა!..

მეორე კითხვაზე პასუხი ქართველ მკითხველს მმართებს იქ, საქართველოში. ჩვენ მასთან ვიყავით მუდამ, იგი ჩვენთან იყო; ერთმანეთს მხარში ვუდებოდა, ჩვენი გულები ერთად სცემდნენ, ერთ გზას მივყვებოდით, ერთი საქმისთვის ვმუშაობდით და ვიბრძოდით. ასე იქნება კვლავაც და ჩვენი სურვილი ისაა მხოლოდ, რომ ჩვენი ერთობა კიდევ უფრო განმტკიცდეს და გაფართოვდეს...

მკითხველი განა აქაცა გვყავს, პოლიტიკური ემიგრანტები. მათი მსჯავრი არაა ერთნაირი და ეს იმიტომ არის გამოწვეული, რომ ისინი სხვადასხვა და-

ჯგუფებათ ეკუთვნიან, ერთმანეთზე დაპირისპირებული, გადამტყრებულთ... დიან, გადამტყრებულთ, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენდა სამარცხვინოთ. რა აქვთ გასაყოფი უცხოეთში, რად არ ინდობენ ერთმანეთს? საქმე ზოგჯერ იქამდის მიდის, რომ ადგილობრივ, უცხო ხელისუფლებას რევენ თავის შინაურ საქმეებში, შესჩივლებენ... არ გვინდა თავისი სახელი დავარქვათ ამ საქციელს, იმდენათ გულის აძლვრევიან.

და, წარმოიდგინეთ სწორეთ ამ შეურიგებელ ბანაკებიდან გვესმის ხშირათ, «დამოუკიდებელი საქართველო» მოსაწყენია, საინტერესო არაა. რატომ? —ეკითხებით და ირკვევა, რომ მიზეზი ის ყოფილა, რომ ორგანო არ უთმობს დიდ ადგილს შინაურ კამათს, ერთმანეთის ლანძღვა-თრევას, გაბიაბრუებას! მაგრამ ამისათვის ხომ სპეციალური გაზეთები არსებობს—მიუგებთ, თითქმის რვამდე, სადაც ძვირათ დაინახავთ ნამდვილ მტრის წინააღმდეგ მიმართულ წერილებს, ისიც მოარცხვათ, ნამუსისთვის რაღა, დანარჩენი მასალა კი ერთმანეთის ქექვას ეწივრება.

ამ ქექვის გაზეთებს კიდევ იმიტომ არ მოსწონთ «დამოუკიდებელი საქართველო», რომ მის ირგვლივ შემოკრებილია ქართველ პოლიტიკურ პარტიათა გაერთიანება, მთავრობის მეთაურობით, და ცდილობენ მუდამ დღე, თუეცა ამათ, ქართველ ერის

მთლიანობის ამ სიმბოლოს განიხილავს. ამისათვის ზოგმა საქირთ დანახა ბრძოლა, ან უკეთ—გინება რუსულ და თვით გერმანულ ენაზე გაეჩაღებინა. შესეთ, რა მტრები ჰყოლია საქართველოს, მოსკოვიტები მოსაგონია მათთან შედარებით! მტრები ილიმებიან, მოყვარენი კი ცვიფრდებიან, ნუ თუ ესაა ქართველი ერის ნამდვილი სახეა.

«დაძველებული საქართველო» მართლა აცდებოდა თავის დანიშნულებას ამ ემიგრანტულ სიმახინჯისთვის მეტი ანგარიში გაეწია, ვინემ ის ღირსი იყო. ეს არ ნიშნავს, რა თქმა უნდა, რომ ახრთა სხვადასხვაობა და მისი გამომქლავნება პრესის საშუალებით სათაკილო ან ზედმეტი იყოს. პირიქით, ამის საქირთებას ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ. არ კმარა მარტო იმის ძახილი, რომ ჩვენ ყველანი ვესწრაფით ქვეყნის განთავისუფლებას; მიზანი ერთია, ხოლო საშუალება, გზები შეიძლება მრავალნაირი იყოს, საქირთა მათი ძებნა, გამოყენება. მეორეს მხრით, ვინ არ იცის, როგორის სისწრაფით იცვლება საერთაშორისო ვითარება, რამდენი ახალი და თავსამტვრევი კითხვები ისმის.—განა გასაკვირია, რომ ყველას ერთი და იგივე პასუხი არ გვქონდეს ამ კითხვებზე? ჩვენი ორგანო ცდილობდა, დრო გამოშვებით, გამომხატებოდა ამ იდეურ უთანხმოებას ქართველ ემიგრანტთა შორის, გამოეთქვა თავისი აზრიც, მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, რომ მას ამისათვის უხეში კილო და ულანათო ფორმა ეხმარა. სხვას აბა რას გვასწავლის დასავლეთის პრესა!

მაგრამ ჩვენი ორგანო ხომ ბრძოლის იარაღია, უწინარეს ყოვლისა. ის ვალდებულია თვალყური ადევნოს, თვიდან თვე, საბჭოთა კავშირს, ერთა ამ გაუგონარ საპყრობილეს, მიზანში ამოიღოს მოსკოვიტების («საქმენი საგმირონი», მათი კრიმინალური სარჩული და ფლიდი ზრახვანი და, რამდენიც ძალა შესწევს, ახსნას, განმარტოს, ამხილოს და სამარცხვინო ბოძზე გააკრას ისინი. შეიძლება, ორგანო ვერ ასრულებდა სავსებით ამ მოვალეობას, ჩვენ პირველი ვართ ეს ნაკლი ვიცნოთ, და ამის მთავარი მიზეზი ისაა, რომ შორიდან, გარედან მოვლენათა დანახვა და შეფასება უფრო ძნელია, ვინემ ახლოდან, შიგნიდან.

კიდევ უფრო მძიმეა ორგანოს მდგომარეობა,

როცა ის ეხება საქართველოს საქმეებს, მეზობლებისას, მათი ურთიერთ დამოკიდებულებას და სხ. ადგილობრივი კომუნისტური გაზეთები მხოლოდ იმას გვაწვდის, რაც ბატონს ეპრიანება, თვით მოსკოვიტც რომ გამოდიოდენ ისინი, ვერ შეატყობდით განსხვავებას, და რა კიდევ უფრო სავალალო. ეს ის, რომ ეს გაზეთებიც სისტემატიურად არ გვივარდება ხელში! იქიდან ხომ ჩვენი მკითხველების წერილებიც არ მოგვდის ხშირათ. ამ პირობებში ჩვენ გვიხდება ხშირათ ჩვენსავე გამჟრიახობას დავემყაროთ, პოლიტიკურ ყნოსვას, ეროვნულ გრძნეულებას, თუ შეიძლება ასე ითქვას.

ამიტომეა, ამ ათი წლის თავზე, ჩვენ უნდა გამოვსთქვათ მხურვალე სურვილი, რათა ჩვენმა ეროვნულმა გაერთიანებამ ილონოს ყოველი ზომა, საქართველოსა და კავკასიიდან რაც შეიძლება მეტი და მეტი ცნობები მოგვიდოდეს. ნუ დაივიწყებთ, 15 წელი სრულდება, რაც ჩვენ იქ არა ვართ, მას შემდეგ რამდენი ცვლილება მოხდა, რა თავგადასავალი, რა სულიერი გარდაქმნა! ისინი, ვინც მკირეწლოვანი დავტოვეთ, ეხლა სრულწლოვანი არიან, ახალი თაობა, როგორია მისი ვანცდანი, სულისკვეთება? ეს და მზგავსი კითხვები ყველას გვებადება, ვცდილობთ პასუხი გავცეთ, მაგრამ ბევრი ვართ დარწმუნებული მის სისწორეში?

რასაკვირველია, ერთში არა ვცდებით, ამაზე კითხვაც არ გვებადება. ჩვენი ერი გაიზარდა, გამოცადა, გონების თვალთ ზომავს, აკვირდება, სწავლობს შექმნილ მდგომარეობას; იცის, დარწმუნებულია, რომ მისი უამც დაჰკრავს, ამისთვის ემზადება, არ ჩქარობს, ძალას იკრებს, ეწევა ყოველდღიურ საქმიანობას, წვრილმანსაც არ გაუტრბის, და ყველა ეს ბუნებრივის აუცილებლობით სქედს, აყალიბებს მის ეროვნულ მთლიანობას ერთის მიზნით, ერთის ნებისყოფით. რაც არ უნდა ეცადოს მტერი დაგვიმალოს ეს ხალასი ფაქტი, ვერ შესძლებს, აღემატება მის ძალას. ის ცოტა რამ, რაც გვსმენია, ვკითხულობთ, სრულიად უდაოდ ხდის ჩვენს რწმენას, იმედებს. ერთს ვისურვებთ მხოლოდ, რომ ჩვენ თვითონ, ემიგრანტები, ღირსი გავხდეთ ჩვენი გმირი ერის.

«დაძველებული საქართველო» განაგრძობს თავის წმინდა სამსახურს ამ რაინდ და სწორუპოვარ გმირისათვის!



«კუსაბეი» 1935 წ. 22 ნომბერი.

უკან, წარსულისაკენ!

(სტუმრ-ქართველთა ურთიერთობის გამა)

ქართველები ჩვენი ძველი მეზობლებია; საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი სამშობლო დანაწილდა და ერთი ამ ნაწილთაგანი ერთ დროს მაცუვა რუსეთის ფლობელობის ქვეშ. ჩვენთან ერთად ამავე მფლობელობაში მოექცენ ქართველებიც. ამ გეოგრაფიულმა დაყოფამ როგორც ჩვენში, ისე ქართველ ერში წარმოშვა ისეთი შთაბეჭდილება, რომ თითქო საქართველო არის მეზობელი ქვეყანა არა მთელი სომხეთის, არამედ მხოლოდ მისი ამიერკავკასიური ნაწილის. ორი ერი, საერთო ისტორიული ბედის მქონე, როგორცა დაცილდენ ერთმანეთს სულიერად და ცალცალკე, დამოუკიდებლად წარმართეს თავიანთი ეროვნული ყოფა-ცხოვრების საქმე. ძნელია წარმოიდგინო უფრო მიუწოდებელი ისტორია, ვინემ ის, რომელიც ჰქონდათ ქართველებს და სომხებს. ისტორიამ თითქმის არ იცის ისეთი ორი ერი, რომელთაც საუკუნეთა განმავლობაში ეცხოვრეთ ერთმანეთის გვერდით და თითქმის არასოდეს აელთ იარაღი ერთმეორის წინააღმდეგ. ჩვენი უსისხლო მეზობლობის ხანა შეიცავს მრავალ საუკუნეს. ჩვენი ისტორია უფრო ზუსტი გამოხატულება საუკუნეთა მანძილზე არსებულ ჩვენი ურთიერთობის შინაგანი აზრისა, ვინემ ჩვენ.

ისტორიულად ჩვენ შეერთებულნი ვართ ჩვენი ბედის ერთი და იგივეობით, მეგობრები ვართ, ხოლო სინამდვილეში კი განცალკევებულნი, დროგამომშვებით ერთმანეთის მოწინააღმდეგენიც. ჩვენ რომ დავრჩენილიყავით ერთგულნი ჩვენი ისტორიისა, სომხისა და ქართველ ერთა ბედი ახლა სულ სხვანაირი იქნებოდა. უდაოა, რომ ჩვენი წინაპრები—სომხები და ქართველები—იყვენ ბევრად უფრო ჭკვიანი პოლიტიკოსები, უფრო ფართე პოლიტიკური გაქანების მქონენი, ვინემ ჩვენ.

ისინი არ იყვენ სოციალისტები, მაგრამ, მიუხედავად ამისა ჩვენზე უფრო მეტად იყვენ გამსწავლულნი ძმობისა და მეგობრობის გრძობით. არ იყვენ პატივისტები ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით და მაინც საუკუნოების განმავლობაში ისე ცხოვრობდენ ერთმანეთის გვერდით, რომ წვეთი სისხლიც არ დაუღვრიათ. იმათ წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ პაქტების იმ ურიცხვ ფორმებზე, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, მაგრამ ისინი იყვენ ხელშეკრულების უფრო გულწრფილნი მხარეები, ვინემ ჩვენ. და ამით აიხსნება, რომ მათ საუკუნოების მანძილზე შეინახეს სამშობლო მაშინ, როდესაც ჩვენ ძალა იმისათვისაც კი არ გვეყო, რომ ჩვენი უფლებები დავგვეცვა.

წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, რომ ჩვენ იმ—

1917 წლის—დღეებში, როდესაც ბედმა გავგიღმა, გვქონოდა ჩვენი წინაპართა პოლიტიკური სიმწიფე და გრძობათა სიღრმე. უსახდერო მწუხარებით უნდა გამოვტყდეთ, რომ დღეს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი თავისუფლების პატრონი ჩვენ ვიცნებდით, რომ ეგ სიმწიფე აღმოგვჩენოდა. ქვეყნიერების იმ ნაწილში, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, მხოლოდ ორი ერი—სომხები და ქართველები—ხედმეტად გვანან ერთმანეთს კულტურით, სარწმუნოებით, უფლებებით და ისტორიით, აგრეთვე ისტორიული ბედით. ჩვენ რომ ჩვენი ისტორიის იმ განსაკუთრებულ საათში, 1917 წლის კრიტიკულ დღეებში, შევევრთებულიყავით და შეგვექნა ერთი მთლიანი ძალა, გავმაგრებოდით რიცხვობრივად და თვისებით, გადავიქცეოდით საგრძობ ძალად და მძლე გავლენას მოვახდენდით ჩვენს გარემოცულებზე. ამის ნაცვლად, როდესაც ჩვენი ბედი წყდებოდა, ჩვენ შევცოდეთ ჩვენი ისტორიის წინაშე და იარაღიც კი ავიღეთ ერთმეორის წინააღმდეგ. განცალკევებულებმა, განხეთქილებმა და ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილებმა—ჩვენ გავუადვილეთ საქმე საერთო მტერს და ქარს გავატანეთ დიდი ფასით მოპოვებული თავისუფლება.

ჩამომხრჩვალის სახლში ბაწარზე არ ლაპარაკობენ. და მაინც, მიუხედავად ამისა, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თუნდაც ორი სიტყვით ის სამწუხარო ფაქტი, რომ ქართველ ერს მენშევიზმის სახით არ ყავდა უკანასკნელ ისტორიულ ხანაში ღირსეული ხელმძღვანელი. სომეხ-ქართველთა კავშირს შეეძლო გადაერჩინა ამიერკავკასია, მაგრამ ეს ვერ გაიგო ქართულმა მენშევიზმმა და არაფერი გააკეთა ამ მიმართულებით. ეს ჭეშმარიტება ვერ გაიგო ვერც ამ დევნილობაში, თუმცა თავის მრავალწლოვან მეცადინეობის შედეგად მან მიიღო საქართველოს განადგურება.

შეცდომებსა და შეცოდებებს შეუძლია შესცვალოს ისტორიის მსვლელობა და არა მისი სული. იმ დღეს, როდესაც ჩვენ ხელახლავ გავიმსწველებით ჩვენი წინაპართა სიბრძნით, დაიწყება ორი ხალხის ისტორიის ახალი ხანა. და განა ღრმა სიმბოლიური არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენს კავშირს ყოველთვის მოქონდა სინარული (და კეთილდღეობა), ხოლო განცალკევებას—სიმწარე (და უბედურება)?

იმეგობრობით ჩვენ სხვებთანაც... მაგრამ ამით არ გვქონია იგივე სინარული; გავყრილვართ მათ, მაგრამ არც მაშინ განგვიცდია ასეთივე სიმწარე.

«ჭუსაბერი»-ის წერილის გამო

ზევით ჩვენ დავბეჭდეთ სომხურ გაზეთ «ჭუსაბერი»-ის მოწინავე. იგი შეეხება სომეხ-ქართველთა წარსულ და აწმყო ურთიერთობას და სრულიად განსხვავდება იმისაგან, რაც მცირე გამოჩენისის გარდა დღემდე იწერებოდა ამ საგანზე როგორც თვით «ჭუსაბერი»-ში, ისე თითქმის ყველა მის მოძმე სომხურ გამოცემებში. სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მოწინავე უყოყმანოთ სცნობს სომეხ-ქართველთა მეგობრობის აუცილებლობას; იგი იგონებს წარსულს, როდესაც ჩვენი წინაპრები საუკუნეთა განმავლობაში კეთილგანწყობილ მეზობლობით ამოყობდნენ და გმობს აწმყოს, ამ ორ მეზობელ ხალხის განცალკევებისა, მტრულ და უნდობლობის ბეჭედით რომ არის აღნიშნული. აქედან დასკვნასაც შესაფერს აკეთებს: «იმ დღეს, როდესაც ჩვენ ხელახლავ გავიმსჯვალებით ჩვენი წინაპართა სიბრძნით, დაიწყება ორი ხალხის ისტორიის ახალი ხანა». უდალა, რომ ძალა ერთობაშია და ამ უკანასკნელისაკენ უნდა მიისწრაფოდნენ უყოყმანოთ ერთი ბედისა თუ უბედობის მქონე მეზობელი ხალხები. უდალა აგრეთვე ისიც, რომ ამ ერთობის უქონლობას მიეწერება უმთავრესად ის სავალალო მდგომარეობა, რომელშიც დღეს არიან ჩაცვენილი როგორც სომეხ-ქართველი, ისე კავკასიის სხვა ხალხებიც.

კავკასია გეოგრაფიულად, ეკონომიურად და სტრატეგიულად წარმოდგენს ერთ მთლიან ერთეულს; აქ მობინადრე ხალხების ინტერესები ერთი მეორეზეა გადაბმულ-გადაჯაჭვული. შეუძლებელი და წარმოუდგენელია, რომ ერთი რომელიმე მათგანი გაჭივრებაში და მოხობაში იყვეს, სოლო და ნარჩენები თავისუფალი და ბედნიერ ცხოვრებით სტკებოდნენ. მთლიანი სხეულის ერთი ნაწილის დაავადება მთელი სხეულის დაუძლეურებას და დაძაბუნებას იწვევს. ამ ელემენტარული ქვეშარტიების შეგნება მძლეოთ და დაქინებით უკარხახებს კავკასიაში მობინადრე ხალხებს ერთობას, ურთიერთ შორის საერთო ენის გამოჩენას, ეროვნულ ინტერესების მოთანხმებას და მტკიცე სამუდამო მეგობრობის ჩამოგდებას. ეგ მიხანი იმდენად დიდია და გარდაუვალი, რომ მისთვის ღირს მსხვერპლის გაღება; ეგ მსხვერპლი გადაიქცევა იმ მტკიცე საძირკვლად, რომელზედაც აშენდება კავკასიის ხალხთა თავისუფლების, ნორმალურ განვითარებისა და ეროვნულ წარმატების დიადი სასახლე.

თქმა არ უნდა, რომ ერთნაირი ისტორიის მქონე სომეხ-ქართველთა მეგობრული ურთიერთობა, ამ ორ ხალხს შორის საერთო ენის გამოჩენა და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი სვლა იქნება ერთი უძლიერესი ფაქტორი კავკასიის ყველა ხალხების მჭიდრო მეგობრულ კავშირში გასაერთიანებლად, საერთო უბედურებაში მყოფ კავკასიის ერების ერთ უძლეველ ფრონტად დასარაზნავად საერთო მტრის წინააღმდეგ. ქვეშარტიად დიდი იქნება მნიშვნელობა და

გავლენა ასეთი კავშირისა. და როდესაც აქეთქენ მოგვიხმობს სომხეთის ძლიერი და გავლენიანი პარტიის ცენტრალური ორგანო, ჩვენ მას ვესალმებით მთელის ჩვენის არსებითა და გულწრფელობით.

მაგრამ არ შეგვიძლია გულის ტკივილით არ აღვნიშნოთ ისიც, რომ ასეთი კარგი და სასიამოვნო განზრახვით დაწყებული მოწინავე დაუმსახურებელი საყვედურით თავდება. «ჭუსაბერი» უსაყვედურებს ქართველ ხალხს, რომ მას «მენშევიზმის სახით ისტორიის უკანასკნელ ხანაში არ ყავდა ღირსეული ხელმძღვანელი», «რომ სომეხ-ქართველთა კავშირს შეეძლო ეხსნა ამიერკავკასია, მაგრამ ეს ვერ გაიგო ქართულმა მენშევიზმმა და არაფერი გააკეთა ამ მიმართულებით». ეს არ არის მართალი ფაქტიურად. უწინარეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ აქ მენშევიზმზე და მის ხელმძღვანელობაზე ლაპარაკი სრულიად ზედმეტია, ვინაიდან საქართველოს პოლიტიკას აწარმოებდა და მართავდა მისი კანონიერი ეროვნული მთავრობა, მიუხედავთ იმისა, თუ რომელ პარტიიდან შესდგებოდა იგი. ამ მთავრობის მეცადინეობითა და ინიციატივით იყო თავის დროზე მოწვეული ტფილისში ამიერკავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენელთა კონფერენცია. ამ უკანასკნელს უნდა გამოენახა გზები ამ რესპუბლიკათა შორის ყველა სადაო კითხვების მეგობრულად ამოსაწურავად და ჩაეყარა საძირკველი მეზობელ ხალხთა კავშირისათვის. მაგრამ სწორედ სომხეთის მთავრობამ უკანასკნელ წუთში და სრულიად მოულოდნელად უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე; გამოცხადდნ მხოლოდ ქართველები და ადერბაიჯანლები. ამ მიზეზით გადაიდო კონფერენცია, რომლის მოწვევა შემდეგშიც არ მოხერხდა და ეს არა ქართველი ხალხის მაშინდელი ხელმძღვანელობის მიზეზით.

უსაფუძვლოა მეორე საყვედურიც. ემიგრანტული ხანის მოღვაწეობას რომ შეეხება. არც ჩვენ ეროვნულ მთავრობას, არც საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას და არც სხვა რომელსამე ქართულ პარტიას არ უწარმოებია პროპაგანდა და კომპანია არც სომხის ხალხის და არც სომხის რომელიმე პოლიტიკურ პარტიის წინააღმდეგ. თუ კი რამე თქმულა ჩვენს პრესაში, ეგ მხოლოდ ქართველ-სომეხთა დაახლოვების სასარგებლოდ. სხვა ნაბიჯებიც არაერთხელ ყოფილა გადადგმული ამ მიმართულებით, მაგრამ—სამწუხაროდ—უშედეგო.

არც იმის თქმაა მართალი, რომ საქართველოს «განადგურება» მენშევიზმის შედეგი იყო. სომხეთში მენშევიზმი არ ყოფილა, მაგრამ სამწუხაროდ არც იმას ვხედავთ აყვავებულს. საქართველო განადგურეს ჩრდილოეთიდან შემოსეულმა იმ ურდოებმა, რომლებმაც კიდევ უფრო ადრე განადგურეს სომხეთი.



კავკასიის კონფედერაციის კითხვების იკვლევი

(ხაულისხმე პარაფლები)

სომხების მონაწილეობაც საქართველოს ეკონომიური ძალების განვითარებაში, როგორც ვაჭართა კლასის, დადებითი ხასიათისა იყო. კულმინაციური პუნქტი, როდესაც სომხები ერთგვარ მიღწევამდე აღიარებულან 1886 წელი. მაგრამ ეს ხანაც უფრო «წარმოების» ჩანასახი იყო, როგორც ამას მოწმობენ იმ ეპოქის მკვლევარნი. ამნაირს საქმიანობას ჯერ კიდევ არ უდგა საამისოთ კარგი დარი. შემდეგში, როდესაც წარმოება-ვაჭრობას უფრო ხელსაყრელი დრო უდგება, სომხებთან გვერდით ქართველებიც ჩნდებიან და ამ უკანასკნელთა ამგვარ საქმიანობაში 1890 წლებიდან ჩაბმას, როგორც უკვე მოვიხსენიეთ, წინ აღარა ელოდება რა.

ამნაირად «არმენიზაცია» არც ამ დარგებში მომხდარა. ხშირად ერთ «არმენიზაციაზე» კიდევ გვითითებენ ხოლმე: ქალაქ ტფილისის ვითომდა გასომხობაზე. ამ ქალაქის წარსული ისტორია საესეა დრამატული ეპიზოდებით, ქართველი მოსახლეობის იქ დაბინავება მისდევდა პოლიტიკური ამბების სვლას. როდესაც ამ პოლიტიკას კარგი დარი უდგა, ქართველთა მოსახლეობაც იზრდებოდა, იგი მცირდებოდა მტრის დარბევის ხანაში. ამ პერიოდებში ალაგზედ რჩებოდა ის, ვისაც სხვაგან გასაქანა არ ჰქონდა. ამითი აიხსნება, სხვათა შორის, ძველი სტატისტიკური შეუთანხმობანი, რომელიც სხვადასხვა ავტორებს და მოგზაურებს მოყვებთ ნაწერებში. ჩვენ შემოდ დაინახეთ, რომ 1929 წელს ჩვენს დედაქალაქში სომხები მხოლოდ 33 პროცენტია, მაშინ როდესაც ქართველთა რიცხვი ასულა 42 პროცენტამდე. ეს ზრდა ქართველებისა სრულობით ბუნებრივია, იგი კვლავ განიცდის ამნაირად ნორმალურს ზრდას, თუ რუსისა ან სხვათა «სიზრტებმა» კვლავ არ შეუშლავს ხელი. იმ დროსაც, როდესაც რუსების და მათი დამხმარე ორგანიზაციების ქართველების საწინამდეგოთ ხმარებული პოლიტიკა მძინვარებდა, აი რა სურათსა ვხედავთ ქალ. ტფილისში. სტატისტიკით თითო მესაკუთრე მოდიოდა—18 ქართველზე, 29 სომეხზე, 35 რუსზე. ე. ი. ქართველ მესაკუთრეთა რიცხვი, შედარებით მათი საერთო რიცხვისა ქალ. ტფილისში, უფრო დიდი იყო ვიდრე სომხების და რუსებისა. ეს ცნობები ეკუთვნის 1897 წელს, როდესაც სომხების რიცხვი ტფილისში ჯერ კიდევ იყო 39.4 პროცენტი, ქართველების 33.6 პროც., რუსების 20.1 პროც., თათრების 8.1 პროც. და დანარჩენების 4.8 პროცენტი...

იქნება სხვა დარგში მოხდა სომხების ჩვენზე გამარჯვება?

ავიღოთ წერა-კითხვის დარგი. ამაში პირველი ალაგი რუსებს ეკუთვნით და ეს გასაგები მიზეზით, ის იყო გაბატონებული მმართველი კასტა; მეორე ალაგი ქართველებს და სომხები კი მხოლოდ მესამე ალაგზე დგანან. სოციალური დახმარება პირველს რიგში სომხებს ეძლეოდა. ყველა ამ ცნობებიდანაც ნათლად სჩანს, რომ არც რიცხობრივად, არც კულ-

ტურულად და არც სოციალურად არავითარი «არმენიზაცია» არ მომხდარა საქართველოში! ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ როდესაც ყველა ამ ნამდვილ ფაქტებს ვაეცნობა, აუცილებლად დაასკვნებ, რომ შემდგარი ის აზრი, ვითომ სომხების პრიორიტეტი საქართველოში დამტკიცებული იყოს. სწორედ გაუგებრობის და სინამდვილის არა ცოდნაა მიზეზი ქართველ-სომეხთა შორის რაღაცა დანდურებისა. მაგონდება ამ თემაზე ჩემი ბაასი სრულიად სომხეთის ქათალიკოს გვეორქ მენუთესთან. ერთ მის ტფილისში ჩამობრძანების დროს ქათალიკოსმა ინებდა ჩემი ნახვა და თავისთან დამიბარა. დანიშნულს დროზედ ჩველ ვანქის ტაძრის ეზოში, სადაც მამა ქათალიკოსს ჰქონდა ბინა. შეხვედრა ქათალიკოსის სატახტო დარბაზში მოხდა. ლაპარაკი რუსულად გვიხდებოდა, თუმცა ერთი ორჯელ გვეორქ მენუთემ ქართული ფრაზებზეც ჩაუმატა. რა თქმა უნდა ბაასი ქართველ სომხების უთიერთობას ეხებოდა. ქათალიკოსმა ინებდა გულწრფელი მწუხარების გამოთქმა, რომ ჩვენ არ მოძმე ხალხებს შორის არ არსებობს თანხმობა და ის სიყვარული, როგორც ძველად ყოფილა. დაისვა კითხვა—რატომ ხდება ეს არასასიამოვნო მოვლენაო. ქათალიკოსმა, სხვათა შორის, ისეთი აზრის გამოთქმაც ინება, რასაც დღესაც, შეცდომით, არა ერთი სომეხი იმეორებს და თავისი სიტყვა ასე დაასრულა: აბა რა სომხების ბრალია, რომ ქართველი თავად-აზნაურები, «ნიკოლაევსკი» შინელებით გამოქვიმულნი, გოლოვინის პროსპექტზედ უსაქმოდ დასეირნობენ, ქეიფობენ, ამით ვალეში ცვივდებიან და მათი მამულები სომხების ხელში გადადისო. ამისათვის ქართველები ჩვენ კი არ უნდა გვემდურებოდეთ, არამედ საკუთარ თავსაო. განა ამაში სომხები მართალნი არა ვართო?

ჩემი მობაასეს სიტყვების გასაგებად აქ უნდა ითქვას, რომ სწორედ იმ ხანებში ჩვენი თავად-აზნაურობის ერთმა პატარა ჯგუფმა, სულ ახალგაზრდებისაგან შემდგარმა თავის ქეიფობით და თავხედურ ცელქობით მთელი ქალაქი ააყყანა. ერთხელ ძალზედ დამთვრალნი ჩამსხდარიყვნენ, ზურნით და სახანდრით, ტრანზვიას ვაგონში. კონდუქტორს უბრძანეს, სხვები აღარავინ დაემვა და ზურნის აუიყყინებით და დალაბადის ბრაზუნით, ყვირილით და ყანწებით ღვინის სმით, მრავალჯერ აუარ-ჩაუარეს მთელ ქალაქს. იმათი შეჩერება შეუძლებელი გახდა. ატყდა ერთი ალიაქოთი და დაუჭერა-ჯარიმით მოთავდა. მთელი ქალაქში იყო «დიკიე გრუზინების» ძანლიო.

იმავე ჯურის გმირებმა ქეიფის დროსვე აუტყნეს ჩხუბი ოთხ მოქეიფე რუსის ოფიცერს, რომელთა სიტყვა-პასუხი რაღაცაზე არ მოეწონათ. ატყდა ალიაქოთი და ხმაო-ხანჯლების ტრიალი. ბოლოს იმ ოფიცერებს იარალი აყარეს და გათენებისას დიდი ზეიმით მიართვეს თავად პეტრე გრუზინსკის: «ბატონიშვილო, ეს იარალი რუსებს აყვარეთ და თქვე-

ნთვის მოგვირთმევილა». ერთობ საძველ მდგომარეობაში ჩააყენეს თავ. გრუზინსკიც და თავის თავიც... ამ ამბავმაც დიდი მოთქმა-მოთქმა ასტენა ტფილისში და ყველას ქართველთა ვაკილვა ეკერა პირზე. უნდა ითქვას, რომ ჩვენი «ოქრას ვარაყიანი» ჯიელები სხვაგანაც ასე გვასახელებდნენ, ქუთაისის ბულვარ-ფერმები იყო იგი, თუ გორის სალხინოები. საწყენი ყველა ამაში ის იყო, რომ ამ «გამოსვლებს» მტერ-მოყვარენი მთელ ქართველ ხალხს ახვევდნენ თავზედა. მე მივხვდი, რომ ქათალიკოსიც ამნაირის ამბებით ახასიათებს ჩვენ ხალხს და მოვასხენე:

რასაკვირველია სამწუხაროდ იქცევა ზოგი ჩვენი ახალგაზრდობა, მაგრამ ისინი სრულობითაც არ არიან არც ქართველი ერის დამახასიათებელი და არც თავის წოდებისა. ამ წოდების უმრავლესობა, მთელ ქართველ ხალხთან ერთად, მისდევს პატიოსანს შრომას და საქმიანობას. თუ უსაქმოდ მოხეტიალე ხალხის მამულეები იყიდება სადმე, გარწმუნებთ, მათ, სულ პირველად, ქართველი მშრომელი ხალხი ყიდულობს და სხვას არ ანებებს. მართალია ორიოდ-სამიოდ დიდი მამული მდიდარმა სომხებმაც იყიდეს, მაგრამ ეს მოხდა იმ მხარის, უმთავრესად, სადაც ქართველი მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აყრილი იყო ადა-მაჰმადის და გენერალ პასკევიჩის მიერ. ასე რომ იმ მამულების გადასვლა-გადმოსვლით სხვების ხელში ვერ აიხსნება ის არანორმალური მდგომარეობა, რომელზედაც ბრძანებდით. უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველებს სულ სხვა გარემოებაანი ადევლებენ. ის, რომ ჩვენ, ქართველები, ვეჭვობთ, რომ სომხებს, რუსეთის ადმინისტრაციასთან ერთად, ქართველი ერი მიანჩია სიკვდილის გზაზე დამდგარ ხალხად; თითქმის ამ ეჟამდ, ლაპარაკი მხოლოდ იმაზეა მიმდგარი, ვის ხელში უნდა გადავიდეს ჩვენი მემკვიდრეობა.

ქართველები იმასაც ეჭვობენ, რომ სომხის ზოგიერთ წრეებს გულში ისიცა აქვთ ჩადებული, რომ საქართველოს ტერიტორიის საზღვრებში და მის ხარჯზე შეეცადონ განახორციელონ ზოგიერთი თავისი პოლიტიკური მიზნები. ამნაირს ტენდენციას ქართველები არც დასთმობენ და შეებრძოლებიან კიდევ. აი საით უნდა მიმართოთ, თქვენო უწმინდესობა, თქვენი მამობრივი ყურადღება. დაგარწმუნოთ სომხები, რომ ქართველები როგორც ერი სულაც არ აპირებენ სიკვდილს და დავამზიდოთ ქართველები და აუხსნათ მათ, რომ სომხებს სრულიადაც არა სწადიათ საქართველოს ტერიტორიის გამო შემოედანონ ქართველებს.

ქათალიკოსმა გაილიმა და მომიგო:
 «თუ სწორედ მაგანია საქმე, მორიგება სულ ადვილი ყოფილა». «საბედნიეროდ, თქვენო უწმინდესობა, მიეუყე მე. ამითი გათავდა ის აუღენცია». ჩემს ხსოვნაში სამუდამოდ დარჩება მადლიანი სახე იმ, ქართველებისადმი კეთილად განწყობილ, სომხის დიდ მღვდელ-მთავრისა.

ეს ძველი ამბავი იმისათვის მოვიყვანე, რომ აი ეს მეთქვა: სომხებსა და ქართველებს შორის სერიოზული წინააღმდეგობა სრულებით არა არის. თუ რამ მი-

ჯნების, ან სამხედრო საკითხებია რამე, ამისი მოგვარება სულ ადვილი საქმეა. ამიტომ არ არიან მართლნი ის სომხის პუბლიცისტები, რომელნიც მეტად შავ სურათს გვიხატავენ და ამით უკან აყენებენ სომხის საზოგადოებრივ აზრს იმ გადამწყვეტ მომენტში, როდესაც კავკასიის ერთთა დღის წესრიგში დგება კონფედერაციის საკითხი...

ბ-ნ ვრაციანის წერილში არის ერთი ადგილი, რომელიც უფრო კიდევ დიდ გაუგებრობას იწვევს. პატივცემული ავტორი ბრძანებს: «ქართველები ყოველ გარემოებას სარგებლობენ, რათა საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი წამოაყენონ ხელმე, მაშინ როდესაც სომხები პოლიტიკურ კითხვების დაყენებაზე ყოველთვის თავს იქერნო».

ნუ თუ ამ სიტყვებით ავტორს ის უნდა ეთქვა, რომ სომხებს სრულებით არ აინტერესებთ სომხეთის დამოუკიდებლობა. თუ ასეა, მაშინ, მისი აზრით, სომხეთის კავკასიური რესპუბლიკა რაღაც, რუსები რომ იტყვიან, «ნედორაზუმენიე» გამოდის?!.. ამ შემთხვევაში რასაკვირველია ყოველი ლაპარაკი ამ საგანზე მასთან ცარიელი წყლის ნაყი იქნებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ, ეს ასე არ არის და სომხები ისეთივე მოტრიალენი არიან დამოუკიდებლობისა, როგორც სხვა კავკასიელი ერები.

საკმაოა გავიხსენოთ საჯარო გამოსვლები სომხის ერის პოლიტიკური ხელმძღვანელების, რომ დავრწმუნდეთ, რამდენად გამჯდარია იღუა სომხეთის დამოუკიდებლობის აღდგენა-გამტკიცებისა.

კერძოთ ქართველ-სომხთა ურთიერთობის შესახებ დიდი მოღვაწე და დიდი სომეხი ბატონი ავეტის აგარონიანი ასეთს, სახსე კეთილშობილური გრძობით აღსავსე, სიტყვებს სწერს ვაზ. «აირენიკ». ში, რომელიც ნიუორკში გამოდის: «დავუბრუნდეთ ხელახლავ ქართველების და სომხების ურთიერთობას, როდემდის გაგრძელდება, ერთი ბედის მონაწილე, ამ ორ ერთა ერთმანეთის არ გაგება. შემდეგ ბ. აგარონიანი იკითხება: «რა საკითხია ის კითხვა, რაც ამ ორსა სთიშავს» და ასე უპასუხებს: «ტერიტორიულია ეს საკითხი? არა; იგი სულ ადვილი მოსაგვარებელია. იქნება ამისი მიზნები იმალება ეკონომიურ ნიადაგზე შეჯიბრებაში? არა და არა».

აი დრმად ნაფიქრი და კეთილშობილური ძახილი. მოვიყვანთ სომხის მეორე ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწის ბ-ნ ჯამალიანის ნათქვამს:

«სომხ-ქართველთა ერთობა არის ერთად-ერთი საწინდარი ჩვენი დაკარგული დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენისა. და აი ამისათვის აუცილებელია მხარდამხარ მიდგომა და ბრძოლა-საერთო მიზნის მიღწევისათვის».

ამიტომ არის, რომ ჩვენ სრულის ნდობით უნდა მოველოდეთ ქართველ-სომხების დაახლოვებას და მათ დაკავშირებას. რაკი ეს ეჭვს გარეშეა, ჩვენ გვჯერა, რომ ადრე თუ გვიან, და უფრო კი ადრე, ვიდრე გვიან, სომხებიც შემოვიერთდებიან თავის კავკასიელ მეზობლებს და ჩვენთან ერთად საერთო ძალით, შექმნიან მძლავრს და ერთსულოვან კავკასიის ერთა კონფედერაციულ კავშირს.

გიორგი ჟურული.

ჩვენი მკოვნული გამქლეობა

ფრიად საინტერესოა და დიდი დაკვირვების ღირსია ქართველი ერის სულიერი თვისებანი, რამდენად ეს შემუშავდა და განმტკიცდა ჩვენი ისტორიისა და გეოგრაფიის გავლენით. მე უკვე ვილაპარაკე ამის შესახებ^{*)}. დიდი პრობლემაა და მინდა ზოგ რაზედმე კიდევ შევჩერდე.

ქართველებს მე ვუწოდებდი მეტის-მეტ ეროვნულს ერს. ბოდიშს ვიხდი ტავტოლოგიისა და უხეში გამოთქმისათვის, ხოლო სხვა სიტყვა ვერ მიპოვნია ჩემი აზრის გამოსახატავად. ყოვლის უპირველესად გთხოვთ, ნურავინ გაიგებთ ისე, თითქოს მე აქ ვკვლისხმობდე ნაციონალისტობას შოვინისტური გაგებით. არა, ქართველი ერი ამისთანა აროდეს ყოფილა. მე ვამბობ ეროვნულ გამძლეობას, ეროვნულ სიმტკიცეს, ეროვნულ შენახულობას. გადაადრეულ თვალი ჩვენს ისტორიას: საიდან მოვიდვართ, რა გრძელი და შიძიმე გზა გამოვიართეთ! და რამდენი სიმწარე და ნაღველი, რამდენი სიკვდილი და მსხვერპლი იყო ამ გზაზე. ქალდედან მთელი მცირე აზია მოვიარეთ,—სად არ ვბინადრობდით, ვინ არ გვიტყუებდა,—ბოლოს კავკასიაში დავმკვიდრდით. მაგრამ თავი არ დაეკარგეთ, სახე ვერ წაგვიშალეს. მერე მოვისვენეთ ჩვენს საბოლოო საცხოვრებელ მიწა-წყალზე, საქართველოში? ვერა. უდიდესი და უძლიერესი ერები—რომაელები, ძველი სპარსელები, სკვითები და ხაზარები, ბიზანტიელები, არაბები, თურქ-სელჩუკები, ხვარაზმელები, მონგოლები, ახალი სპარსელები, ოსმალოები და ბოლოს რუსები—თუ არ დავასახელებთ მცირე ერთეულებს—ამდენი სხვა და სხვა მოდგმა და საჯული გამოდებით გვებრძოდა, ცალ-ცალკე თუ ერთად რამდენიმე, და მერე როგორი გააფთრებით და მოძალებით, მაგრამ ჩვენ მაინც არ აღგვივართ ღელამიწის პირიდან და დავრჩით იგივე—ქართველი ერი.

ქეშმარიტად, დიდსა და განსაკუთრებულ შესწავლას მოითხოვს ეს მოვლენა, არა მარტო ჩვენის მხრით, არამედ საერთოდ ადამიანური თვალსაზრისით. მეძნელება დავასახელო სხვა ერი, რომ ამდენი დევნა და შემოტევა გადაეტანოს, ევროპაში ხომ ამის შესაძარბებელი და მსგავსი სრულიად არაფერი ყოფილა, ხოლო აზიაშიც კი, სადაც მოდგმათა და ტომთა მუდმივ აწვირებებს და აბოტოქრებს ჰქონდა ადგილი და ერთი მეორეს ესევიდა,—ამ აზიაშიც იშვიათია სხვა ისეთი ერი, რომლის ბედი ჩვენსას წაგავდეს.

აღსანიშნავია, ეს უცხოთა თავდასხმა და შემობრძოლება არასოდეს ყოფილა ხანმოკლე, რამდენიმე წლის, მათი მძლავრობა და ბატონობა ხშირად საუკუნოებით გრძელდებოდა. ეროვნული თითქოს ყველაფერი უნდა გამქრალიყო. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, შინაური რღვევისა და გარეშე ძალების მეფებით, თუ ჩვენი წინამძღვრებით, თუ ყველა ამის

საერთო გავლენით,—მტერი ეცემოდა და თითქმის აღარ არსებული საქართველო ისევ საქართველო იყო, ქართველი ერი—ისევ ქართველი ერი, რომელიც დანგრეულს კვლავ აღაშენებდა, გაწყვეტილ ძაფებს ისევ გააბამდა და აგრძელებდა თავის ისტორიას, თავის სახელმწიფოს, ისევ თავის ერთ ცხოვრობდა, თავის წესებით, შემოქმედებით.

უცხოელთა ძალბატონებითა და გავლენით რამდენი ზნე, შეხედულება, წყობილება, მეთოდი, მანერა, გამოთქმა, გარეგანი თუ შინაგანი თვისება არ გადმოვიღეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში, სახელმწიფოს გარეგებასა, ხელოვნებასა, ცოდნასა, მსჯელობაში, სისხლიც კი შემოგვევრია ცოტათი. მაგრამ ვერაფერმა გარდაქმნა ჩვენი ეროვნული ფიქიკია და გარეგნულობა. ჩვენს არსებაში ყოველი გადმოტანილი და ნასესხები გადადულდა, გადათვისდა, გაქართულდა და ჩვენი სული და გული დარჩა მარად ქართული ეროვნული. სპარსელები მრავალი ხნის განმავლობაში ბატონობდნენ ჩვენზე, მაგრამ ნახეთ ქართული მუსიკა—ეს უკეთესი გამომსახველი სულის იდუმალ ბეგრაათა და თქმათა—განა ოდნავად სპარსულია, რითიმე ჰგავს სპარსულს? ჩვენ ვთარგმნიდით სპარსულს მწერლობას, მაგრამ უფრო გადმოვაკეთებდით ხოლმე, გადმოვქართულდებდით და ვეკმნიდით სულ განსხვავებულს, სხვა მისწრაფებით. ძლიერი იყო ბიზანტიელების გავლენა და ხშირად მონურად ვიმეორებდით მათ ნათქვამს, მაგრამ ჩვენ შევქმენით ჩვენი ეროვნული ხუროთ-მოძღვრება, მხატვრობა, პოეზია. ბევრი სახელმწიფო წესი ვისესხეთ სპარსელებისა და ბიზანტიელებისაგან, მაგრამ ეს გადავასხვავებეთ, გავშალეთ ან შევკვეცეთ და შევუჯუეთ ქართულს თვისებებს. ავიღეთ არაბულ-სპარსული ხელისუფლება ვაზირისა და ბიზანტიური—მწიგნობართ უხუცესისა, მაგრამ ჩვენ შევქმენით მინისტრთა კოლეგია ვაზირთა უპირველესი ხელმძღვანელობით, რაიც არ არსებობდა არც სპარსეთ-არაბეთში, არც ბიზანტიაში; ვისესხეთ «სპარსული ამბავი», ანუ უკეთ «სპარსული ამბები», რადგან რუსთველს არ უსარგებლნია ერთი კონკრეტული არაკი,—მაგრამ წარმოვშვიტ მწერლობის შედევრი «ვეფხისტყაოსანი» ქართული სულით, სიყვარულით, შეგრძნობით, რაინდობით, კეთილშობილობით. ერთგულობით, ქალის ღრმა პატივისცემით, იმ მიჯნურობით, რომელიც «საქმეა სახეო, მომცემი აღმადარენათა». მივბაძეთ სპარსელებს მეფეთა ხოტბა-მესხმის შეთხვევაში, მაგრამ დავეწერეთ ოდები «აბდულ მესია» და «თამარიანი», რომელნიც უადრესად ეროვნულნი არიან და ამ მხრივ აღმატებიან ყველაფერს, რაც კი როდისმე ქართულად დაწერილა, და რომელთა შემწეობით, სხვა ყველაფერი რომ დაკარგულიყო, შეგვიძლია სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მე 12 საუკ. საქართველოს ძლიერებასა, დიდებასა და გასაოცრად დაწვეწვილ და რაფრულ გემოვნების კუოტურაზე, ჩვენ გავხდით ქრისტიანები, ხოლო ქრისტიანობა იყო

^{*)} იხ. ჩემი წიგნი «ამბავთა და საქმეთა მოლოდინში».

ჩვენთვის მარტო კულტურულ-მორალური მოვლენა, და არასოდეს ვიყავით დომესტიკოსები და ფანატიკოსები, როგორც ჩვენი მასწავლებლები. და პატივსაცემად იხსენიებოდა და სინდისს. თუ მაჰმადიანები გავხდით ზოგან, ჩვენ არ ვყოფილვართ უფრო მაჰმადიანები, არც თუ თურქ ან სპარსელ-მაჰმადიანები, არამედ გურჯი-მუსულმანები. აი ასეთი მაგალითი: ქართველები ძალით კახეთიდან შუა გულ სპარსეთში გადაასახლეს და სჯულიც გამოაცვლევინეს; ჭანეთ-მესხეთი ოსმალებმა დაიპყრეს, სისხლით მორწყეს მთელი მხარე, დამხეს დიდებულნი ქართული კულტურა და მკვიდრთ ყოველნაირად დევნიდენ და ავიწროებდენ. სპარსეთშიც და ოსმალეთშიც ქართველებმა დაჰკარგეს სარწმუნოება, ხოლო არ დაჰკარგეს ეროვნების უდიდესი გამოხატულობა და საწინდარი—ენა, ქართული ენა. უნებურად მაგონდება სომხების ამბავი: მათ ჩვენში სარწმუნოება შეინახეს, ხოლო დაივიწყეს დედა-ენა; ასევე მოხდა პოლონეთში, სადაც ძველიდანვე არსებობს საკმაოდ რიცხვოვანი სომხთა კალონია, იქაც სომხური ეკლესია ეკლუზიონალურია, მაგრამ სომხური ენა გამქრალია...

ბუნებრივია ვიკითხოთ: რაა მიზეზი ქართველობის ამ ეროვნული გამძლეობის—გამძლეობის შედარებითის და საერთოდ, რადგან ისტორიის სიგრძეზე ბევრი ქართველი გადაგვარებულა და სამუდამოდ მოწყვეტილა თავის ერს. რა პირობებმა შეუწყია ხელი ჩვენს ეროვნულს სიმტკიცეს?

ჩემი აზრით, უპირველესად ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ქართველთა მოდგმა არასიუვლად, ტომობრივად უძველეს დროიდან შემუშავდა, მიიღო თავისებური სულიერ-ხორციელი სახე, და სხვებთან შეტაკებისა და ბრძოლების დროს ადვილად არ იშლებოდა, განსაკუთრებით როცა ეს გარემოები ეროვნულად დაბლა იდგნენ. ქართველთა ნათესავის წევრები უხსოვარ დროიდან გრძნობენ თავის ერთობას და თვისობას, ჯერ კიდევ მაშინ, როცა დღევანდელ ტერიტორიაზე არ იყვნენ მსულნი და ალბად დაპარაკობდენ სხვა კილოს და არა ქართულს—ქართულს. თვით მთელი ჩვენი მოდგმის ქართულეობაცაა ძალიან ძველი ამბავია; ყოველ შემთხვევაში, მე 8-9 ს.ს. რომ საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება ისახება, ქართულიზაცია უკვე წინად მომხდარი ფაქტია, ყველა ქართველი ტომი ერთი ენის კულტურას ემორჩილება, ერთობის შეგნება აქვს, ერთს ერს წარმოადგენს. ჩვენში რომ ქრისტიანობა შემოვიდა, ქართველობა უკვე ერთი იყო გარკვეული ფსიქიკით და ამიტომ მოხდა, რომ ეკლესიამ ისე ვერ დაიმორჩილა, ვერ დაიმონა ხალხი, როგორც მაგალ. დასავლეთ ევროპაში, სადაც ქრისტიანობის მოციქულებს მეტწილად საქმე ჰქონდათ ეროვნულად უფორმო ტომებთან. ცხადია, რაკი ქართველები ასე ადრე იქცნენ ერად, გამავრდენ ეროვნულად, ნაციონალურმა შეგნებამ ღრმად გაიდგა ფესვები მათ არსებაში, და ძნელი შეიქმნა მათი გადაგვარება, ბრძოლა მათი ეროვნების წინააღმდეგ.

მეორე მიზეზად დავასახელებდი იმას, რომ ჩვენ

ერთი მტერი არ გვყოლია, არამედ რამდენიმე და სხვადასხვა. ერთს მტერი ხშირად მეორეს უპირისპირებდით. ხან ერთს ვუჭერდით მხარს, ხან მეორეს, და ასე ვბალანსობდით. ერთის გავლენას მეორესს შევუფარებდით, ერთის ნათესს მეორე ამოფხვრავდა. როცა ერთი წესი და გავლენა ხანგრძლივ და მუდმივ, ადვილად გიპყრობს, გბორკავს. ხოლო თუ იცნობ მეორესაც, ძალაუნებურად არჩევას იწყებ, შეფასებას, აწონ-დაწონას და ამის მეხებით საკუთარი მხედველობა ამოძრავებდა, ყველაფერს კრიტიკულად მიუდგება და ახერხებს ერთს დამონებასაც აცდეს და მეორესაც. ზოგი პირი მარბეგელიაო, სწორედ ესაა. მოწამულს ხშირად სხვა საწამლაი-თვე ჰკურნავენ, ჩვენც ასე მოგვიძლია.

ბედი იყო ჩვენი, რომ აღმოსავლეთის და დასავლეთის სამყაროთა საზღვარზე ვიყავით და მერე ორ დიდ სარწმუნოებრივ მსოფლიოს შეხლის ფარგალში. ჩვენ ორივეს ვენათესავებოდით, ორივეს გავლენას განვიციდით, მაგრამ სრულად არც ერთს არ ვეყმობოდით. ერთს მეორეს ვუყენებდით წინ—აღმოსავლეთს დასავლეთით ვებრძოდით და დასავლეთს აღმოსავლეთით. საბერძნეთმა, რომმა, ბიზანტიამ თუ ბევრი შესძინა ჩვენს კულტურას, ჩვენ არ გადმოვიღეთ მათი კერძობა და ცალმხრივობა, რადგან ჩვენს მხედველობას აღმოსავლეთის ტალღები ეხეთქებოდენ, ჩვენს ჰორიზონტს ფართოდ შლიდენ და მაგალითად მაშინ, როდესაც ბიზანტია და დასავლეთი ევროპა სარწმუნოებრივი ფანატიზმით და სქოლასტიკით იყვნენ შებოქვილნი, ჩვენ ქრისტიანულ-დასავლეთურ მოძღვრებაზე ალბრდილებმა არაბულ-სპარსულ სავრა მისწრაფებათა გავლენით შევქენით საკუთარი კულტურა, სრულიად განსხვავებული როგორც ერთისაგან, ისე მეორისაგან, წმინდა ქართული ეროვნული—ეს არ იყო მეტად ხორციელი და მიწიერი, აგრე ვსთქვათ, მაგრამ არ იყო არც ასკეტური, განყენებული სულიერი, უხსენებელი სავსებით. ეს იყო აღმოსავლეთ-დასავლეთის შეუღლებისაგან წარმოშობილი ორიგინალური გავება ცხოვრებისა და შემოქმედებისა—ისი ჰუმანიზმი, რომელიც დაგვიანებით მერე ევროპაშიც გაჩნდა.

მესამე მიზეზი—შეიძლება ეს მთავარია—იყო საშუალება, ტაქტიკა ქართველი ერისა თავის ვინაობის და რაობის დასაცავად. ჩვენ ვსთქვით, ქართველი მეტად მტკიცე ერია, მასში ძალზე განვითარებულია ეროვნული ინდივიდუალობა, პიროვნება, ცხადია ეროვნული თავმოყვარეობაც. ქრისტიანია თუ მაჰმადიანი, იგი ყოველთვის ქართველია თუ გურჯი. აშკარაა, იგი თავის თავს არავის უთმობს და გამწვარებით იბრძვის თავის ვინაობის, ეროვნების დასაცავად. არავინ შემოსულა უცხოელი საქართველოში, რომ ეს ძალიან ძვირად არ დაჯდომოდეს, და შემოსული და გაბატონებული ვერასოდეს ახერხებდა ქართველების სრულს დამორჩილებას და მუამბოხე ქვეყნის დამშვიდებას. გავიხსენოთ, ლანგ თემური, რომელმაც სვიდჯურ გადაბუგა საქართველო და ისე მოკვდა, რომ თან წარიღო მწარე ნალველი «საქართველო ყმად ვერ გავხადეო». სპარსე-



ლებმა მთელი სამი საუკუნის განმავლობაში თავისი ძალღონე საქართველოსთან ბრძოლას შეაღიეს. ქართველ მეფეებს ძალით სჯული გამოაცვლევინეს, ხოლო საქართველო სპარსეთის პროვინციად ვერ გადააქციეს, ქართველებს წინამდევობაზე ხელი ვერ ადებინეს.

ბრძოლა, ბრძოლა, ბრძოლა თავდამსხმელთან, დამპყრობელთან, მოძალადესთან—აი რა მოსდევს მთავარ ხაზად თავიდანვე ჩვენს ისტორიას. მაგრამ ბრძოლა გამარჯვებისათვის, საბოლოო გამარჯვებისათვის, და არა ბრძოლა ბრძოლისათვის. ერთი უცხოელი ისტორიკოსი ქართველს ადარებს ერთ მის მეზობელ ერს, და ქართველს უწოდებს გმირს, რომელსაც არ უყვარს თავისთავად მსხვერპლის მიტანა, პასიუური თავის განწირვა. იგი აქტიუური მებრძოლია, უყვარს ბრძოლა საქმისთვის, რომელსაც ემსახურება, ეროვნებისათვის, რომელსაც ეთავყვანება. ქართველი ერი იბრძვის, ხოლო არა ისე, რომ მთლად მოისპოს. იცის დროზე უკან დახვევაც და სანგრების აგება, ჯერ თავის დასაცავად და მერე შეტევაზე გადასასვლელად. დამარცხება მას არ ჰკლავს. გასაქირში დამბლა არ დაეცემა. რაც უნდა დიდი განსაცდელი და უბედურება დაატყდეს თავს, ნებას არ მისცემს ამ ჭირს მთლად დაიპყრას მისი ბუნება, შთანთქმას მთელი მისი აქტივობა. ის მაინც ცხოვრობს, ფიქრობს, გრძობს, მოქმედობს, მხიარულობს კიდევ, შეიძლება მტრის სამოსელიც შეიმოსოს, მისი ქუდიც დაიხუროს და ფრჩხილები ნინო წითლად შეიღებოს,—მაგრამ გული ქართულად უცემს და მისი სული შორსაა მოკულობისაგან. ბედს არ ურიგდება. თავი არ ავიწყდება. უცდის გარემობას და როგორც კი ეპი კარდება, ისევ ბრძოლას იწყებს, რადგან იცის ქართველ—ეს გრძელმა გამოცდილებამ ასწავლა—, რომ მხოლოდ ბრძოლით შეუძლია დაიბრუნოს თავისუფლება, არ დაკარგოს ეროვნება, იყოს ერი—ქართველი ერი!

ამ ბრძოლის ტაქტიკამ შეინახა ქართველი ერი, ამ შეუდრეკელობამ და განუზრელობამ მოგვიყვანა დღემდის და უქვევლია, ესევა გზა ჩვენი მომავლის. ჩვენ ვერ დავთმობთ ეროვნულს თავისუფლებას, ვერ შევსძლებთ განდგომას ჩვენი ვინაობისა და სახეობისაგან, ვერ შევეგუებით აწინდელ შავ დროთა ვიბრძოლებს როგორც ყოველთვის—ეს ხომ ჩვენი სტიქიაა, ჩვენი ბუნება! საქართველო თავისუფალი, საქართველო თავისი და არა სხვისი, ქართველი ერი—ერი; ეს გარდაუვალია, ამის შებრუნება არავის შეუძლია, არავის, თუ არ წაშლის მთელს ჩვენს ისტორიას და ერთიან არ აღმოვხვრის ჩვენს მოდგმას, რომელსაც სამი ათასის თუ მეტის წლის სიღრმეზე აქვს გადგმული ფესვები...

თუ თვალს გადავავლებთ, რაც ვსთქვით, შეგვიძლია დავისახმოთ წინ ჩვენი ახლო მომავლის პერსპექტივები. განვლილი გზები, თვისებები, რომლებიც ჩავგინერგა წარსულმა ცხოვრებამ, მრავალ პირობა და ვაებათა განცდამ—ეს ყველაფერი იმას გვეუბნება, რომ განთავისუფლებულ და აღდგენილ საქართველოში მძლავრად იფეთქებს ეროვნული გრძობა, შეგნება, სიყვარული. ამ ლოზუნგის ქვეშ წა-

რიმართება სახელმწიფოებრივი მოღვაწეობა, ეკონომიური აღმშენებლობა, კულტურული შემოქმედება.

ეს იქნება უექვევლად, ყოვლის უწინარეს, გატაცება საქართველოს ისტორიით, შესწავლა ჩვენი მდიდარი თავგადასავალის, ბრძოლების და გმირობის, მოქალაქეობის, მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის, ხალხური სიტყვიერების, ზნეთა და ჩვეულებათა, განახლება ძველ სათამაშოთა და გასართობთა, აღდგენა და მოვლა ისტორიული ნაშთების. სამშობლოს ბუნება, მისი კუთხეების სხვადასხვა ფეროვანი სილამაზე, მთები, ველები, მდინარეები გახდება სათაყვანებელი და მათი დათვალეობა და გაცნობა მიიღებს ფართო მასიურს ხასიათს. მწერლობაში და საერთოდ ხელოვნებაში გაბატონდება ეროვნული ჰანგი და ტემა. გაიზრდება ეროვნული თავმოყვარეობა, ქართველი იამაყებს ქართველის სახელით, მამულიშვილობა ჩაითვლება პირველ ღირსებად და სამშობლო შეიმოსება ყველას გულში დიდებით და ბრწყინვალეობით. ეს გაიტაცებს ყველას და ბევრი, დღეს რომ ბოლშევიკობს და კოსმოპოლიტობს, მაშინ ისიც კი უკიდურეს ნაციონალისტობა დაიჩემებს. ადვილად მოსალოდნელია, რომ განვლილ დამცირებათა შემდეგ შოვინისტურ ეკცესესაც ექნეს ადგილი. მაგრამ წარსულის მაგალითები ნათლად გვიმტკიცებენ, რომ ავადმყოფური სიძულვილი სხვების ჩვენში ფეხს ვერ მოიდგამს, ქართული ეროვნული აღდგენა ჩადგება საღ კალაპოტში და საქართველოს პოლიტიკა დაემყარება საკუთარ თავის ღრმა სიყვარულს და სხვა ერებთან თანასწორუფლებიან კავშირს და ურთიერთის პატივისცემას.

თავისთავად ცხადია, აღდგენილ საქართველოს მუშაობა არ შემოიფარგლება მარტო ეროვნული შეგნების გაძლიერებით. იგივე ეროვნული მოტივი ხელს შეუწყობს ქვეყნის ქონებრივ აღორძინებას. ღირსების გრძობის გაღვივება, საკუთარი თავის პატივი, თავისთავის ნდობა წახალისებს შრომას, მრეწველობას, ორგანიზაციას, ტექნიკის სრულს გამოყენებას, ცოდნის გავრცელებას, სოციალურ ცხოვრების გაუმჯობესობას. ეროვნული თავმოყვარეობა უკარნახებს ყველას, რომ საქართველო არ ჩამორჩეს სხვა ქვეყნებს არც განათლებით, არც პოლიტიკური წყობილებით, არც ეკონომიური წარმატებით. ყველა მონდომებული იქნება, საქართველო იყოს აყვავებული, განდიდებული. ერის სამსახური—აი რა გახდება ყველაზე უფრო საწადელი სამოქმედო სარბიელი...

ასე გვეხატება ჩვენი ახლობელი მომავალი, და ამის რეალური ფაქტები უკვე მოსჩანს. ეს არაა ოცნება, ეს დასკვნაა და ლოგიკურად გამომდინარეობს ჩვენი ეროვნული ბუნებიდან. ჩვენ მარტო ბრძოლა არ ვიცით. მე-11-12 ს. ს. საქართველო ამის უდიდესი მაგალითია—მაშინ იგი იყო ერთი საუკეთესოდ მოწყობილი, წარმატებული და განათლებულ სახელმწიფოთაგანი მთელ დედამიწაზე.

ხოლო ნუ ვიფიქრებთ, რომ ეს სიდიადე და სხვა ბევრი საკვირველი მოვლენა ჩვენი ერის წარსულში



თავისთავად კეთდებოდა. არა, საქართველო შენდებოდა და ცოცხლობდა მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლით, მოქმედებით, ენერგიით. ჩვენი წინაპრები ფაქტობრივად არ იყვნენ. ისინი ბედს კი არ შესცქეროდნენ და მისგან წყალობას კი მოელოდნენ. თვით ჰქმნიდნენ თავის ბედს და სუვედდნენ საქართველოს. ჩვენც მათ უნდა მივდიოთ. მომავალი თავისუფალი და აღორძინებული საქართველო ჩვენ თვით უნდა მოვიპოვოთ, შევექმნათ ჩვენი გონებით და მკლავით, მამულის ღრმა სიყვარულით და იმ დიდი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, რომელსაც ეს სიყვარული გვავალებს... *)

ხ. ფირცხალავა.

უცხოეთის მიმოხილვა

სერ სამუელ ჰორ.

საჯაყი საქმე მოუვიდა დიდი ბრიტანეთის კონსერვატულ მთავრობას, გაუგონარი მისი ხანგრძლივ მატინანეში: დუნაუპოლია გაუქმდა თავის საგარეო მინისტრს და ისიც იძულებული გახდა სამსახურიდან გასულიყო. ერთი დამსწრე იმასაც ამბობს, რომ, როცა სერ სამუელ ჰორ, უკვე უბრალო კომონერი, ახსნას ძღვედა თემთა პალატას, თვალებიდან ორი კურცხალი გადმოვარდა. და, კიდევ უარესი, მის გვერდში მჯდომ დიდატ ცნობილ სერ რობერტ ჰორნს ტირილი აუვარდა!

ამის უშუალო მიზეზი ის უნდა ყოფილიყო, რომ აქა-იქ გაზეთებში ყოფილ მინისტრს ჰორს, ცნობილ ჯენტლმენს და სპორტსმენს, სიმხალე დასწამეს: შენ შეგეშინდა მუხოლინის და იმიტომ მოუწერე ლავალს ხელი ყოვლად მიუღებელ კომპრომისზე. ტრავისტების «დეილი ჰერალდ» პირდაპირ მოითხოვდა ჰორის დაუყენებლივ დათხოვნას, და «ტაიმს»-იც, ეს დარბაისელი სიტის გაზეთი, ვერ იკავებდა თავს აღმუთონებისაგან. ტაიმსი ვერა, რომ ხალხი აჯანყდა, საზოგადო აზრი თვით პრემიერ-მინისტრ ბოლდვინს ხდიდა პასუხისმგებლად: მოგვატყუეთ რაღა არჩევნების დროსა!

გავიგონიათ, რა ხშირათ ხმარობენ ესლა რადეკი და მზგავსი ლაწირაკები: «საბჭოთა საზოგადო აზრი»! როცა ამას კითხულობთ, მწარეთ გეცინებათ, ხლო იგივე არაა საზოგადო აზრი ინგლისში. მისი ერიდებათ არა მარტო მინისტრებს და პარლამენტს, არამედ თვით ტახტს, დინასტიას. ამას ჰქვია საზოგადოებრივი კონტროლი და არც ერთ ქვეყანაში არ არის ის ისე სასტიკი, როგორც ინგლისში, და ეს ნიშანია ერის უაღრეს სიმწიფის.

როგორ თუ დიდ ბრიტანეთს შეეშინდა იტალიისა?—გაიძახოდნენ, და ეს კი მეტათ მძიმე კითხვაა, რადგან, საკმარისია ასეთი შთაბეჭდილება მიიღოს მსოფლიომ, რომლის მოზრდილ ნაწილს თვით მისი იმპერია შეადგენს, მშვიდობით პრესტიჟო, მშვი-

დობით იმპერიის მთლიანობა; ერთხელ კიდევ აღვნიშნეთ აქვე, რომ ეთიოპიაში ზანგთა მოღმბის, თუმცა შერეული, ხალხი ცხოვრობს, რამდენი კოლონიები უპყრია ინგლისს აფრიკაში სწორეთ ზანგებისგან დასახლებული? იქ ხომ მას არა ჰყავს საკმაო სამხედრო ძალები, მაგრამ შიში «ბებერ ლომის» წინაშე, პრესტიჟი—ი რა აჩერებს მათ. ინგლისის მსოფლიო ბატონობის საიდუმლოება სწორეთ იმაში მდგომარეობს, რომ ძალიან მცირე ძალით ყველგან და უძლიერესი მუშტით ერთ ადგილას (ფლოტი) ის ახერხებს მყუდროების დამყარებას თავის მზეჩაუვალ სამფლობელოში; დომინიონების უფლებით გათანაწორება კიდევ სხვაა, მისი დიპლომატია ხელოვნების უმაღლეს ხარისხზეა აყვანილი.

მკითხველმა უკვე იცის, რომ ლავალ-ჰორის კომპრომისი ეხებოდა იტალია-ეთიოპიის კონფლიქტს, ის შეიცავდა ორივე მხარის შესარიგებელ პირობებს: 1) ტერიტორიის გაცვლა, იტალიას უნდა მიეღო ეთიოპიის ორი მოზრდილი პროვინცია და სამკავიერო უნდა დაეთმო ერთი ნავთსადგური და მისკენ მიმავალი ვიწრო კორიდორი წითელ ზღვამდე. 2) ეთიოპიის ერთი მესამედი ტერიტორია უნდა გადასცემოდა იტალიას მთელი მისი ბუნებრივი სიმდიდრით და სახალმწნოთ თავის მოქალაქეთათვის, ნეგუსის ნომინალური უზენაესობის ქვეშ. 3) ეთიოპიის დანარჩენ ტერიტორიაზედაც ერთა ლიგა უნდა დახმარებოდა ნეგუსს მრჩეველებით, უნდა დარბერიით და სხ. იქაურ ადმინისტრაციის მსახურებათ.

ეს პირობები ლონდონში და ქენევაშიც ერთგვარ პრემიად ჩასთვალეს თავდამხმელისთვის. მაშინ როდესაც ლიგის დანიშნულება დაჩაგრულის დაცვა უნდა ყოფილიყო. სერ სამუელ ჰორ სწორეთ ამ პრინციპს იცავდა ქენევაში თავის ისტორიულ სიტყვაში და დიდი სახელიც მოიხვეჭა. ბოლდვინმა მკვდრად გამოაცხადა ეს პირობები, მის გაცოცხლებას ჩვენ არ ვიკისრებთო. რას იქს ყენევა? იქ ხომ ფინანსიური და ეკონომიური სანქციები მიიღეს იტალიის წინამდეგ, ესლა კი ნავთზე, ნახშირზე, ფოლაზე აპირებდნენ ამ სანქციების გავრცელებას.

ჰორმა ლავალთან მოლაპარაკების დროს ის შთაბეჭდილება მიიღო, რომ იტალია, გამწარებული ემბარგოთი ნავთზე, ომს არ დაერიდება ინგლისთანო. დაისვა კითხვა, დაუჭერდნ თუ არა ინგლის მხარს ლიგის სხვა წევრები, თანახმად პაქტისა? ამაში იჭვი შეეპარა ჰორს, გამდიოდა, ლიგის პაქტისთვის მარტო ინგლის უნდა გამოეღო თავი, და, რაც უარესია, ომი აფრიკიდან ევროპაში უნდა გადმოეტანათ! ეს კი მიუღებელია ყოველ ქვეყანაში ადამიანისთვის.

საქმე კიდევ იმით გართულდა, რომ არც ერთმა მხარემ, არც იტალიამ, არც ეთიოპიამ არ უპასუხა პირდაპირ, იღებდა თუ არა კომპრომის მოლაპარაკების საფუძვლად. იტალია თითქო თანახმა იყო, ხლო დუჩემ, ჰორის პალატაში გამოსვლის წინა დღით, ისეთი სიტყვა წარმოთქვა, რომელიც ლახვრად ჩაესო ინგლისის საგარეო მინისტრს და მაშინვე

*) სიტყვა წარმოთქმული აჯანყების წლის თავზე, იბეჭდება ცოტადენი შემოკლებით.

დათხზვის წერილი აფრინა ბოლდვინთან. ნეგუსმა, თავის ევროპიულ-ამერიკულ მრჩეველების დახმარებით, ისეთი მოხერხებული პასუხი გაუგზავნა ყენგვას, რომ იქ ყველამ პირი დააღო: პირობები არღვევს პაქტს, დიცხლავ მოიწვიეთ ლიგის ყრილობაო. იცოდა, რა თქმა უნდა, რომ ის უარყოფდა კომპრომისს. მაგრამ ყრილობის ადრე საბჭომ დამარხა იგი ანკარას მინისტრის კიდევ უფრო მოხერხებული წინადადებით: მადლობა გამოეცხადოს ინგლისს და საფრანგეთს გარჯისათვის!

იმვე დროს გამოქვეყნდა, რომ ჰორს კიდევ ნოემბერში შეუკითხავს საბერძნეთ, ოსმალეთ, იუგოსლავია, ისპანია და პორტუგალიასთვის: იტალიის ფლოტი ჩემს ფლოტს რომ დაესხას უმიზნოთ, მზათ ხართ თუ არა თქვენი ფლოტები მომამხველოთ. მათ უპასუხნიათ მზათა ვართო. რაც შეეხება საფრანგეთს, მან კიდევ ოქტომბერში უპასუხა დადებითათ. ამ რიგათ, საომარი თადარიგი მიღებულია, ხოლო საზავო მოლაპარაკება შეჩერებული.

ბოლდვინმა ახალგაზდა ანტონი იდენი მიიწვია ჰორის ადგილზედ საგარეო მინისტრად და ის ხომ სასტიკი დამცველია ლიგის პაქტის. ესეც არ ლაპარაკობს მაინც და მაინც ზავის სასარგებლოთ. ბოლდვინის კაბინეტში ერთგვარ ჯანყს ჰქონდა ადგილი; ახალგაზდა მინისტრები დაეტაკენ მოხუცებს, ეგ რა გვიყავით, როგორ შეარცხვინეთ ჩვენი დროშა, ჩვენი სახელი, აწი ვინ დაუჯერებს დიდი ბრიტანეთის სიტყვასო. წარმოადგინეთ, იმავე ჰანგვებს გაიგონებდით ტრავისის სოციალისტებისგან; ერთგულმა ტალღამ წალეკა ჰორი, ესლა ის თვით ბოლდვინსაც ემუქრება, მის შოადგილეს უკვე ასახელებენ—ნევილ ჩემბერლენს, ძმას სერ ოსტენისა და შვილს დიდი იმპერიალისტ იოსებ ჩემბერლენისა.

ჯერი ისევ საფრანგეთის პრემიერ პიერ ლავალზე მიდვა! როცა ამ სტრიქონებს ვწერთ, არავინ იცის, დარჩება თუ არა ის თავის ადგილზედ. პალატაში მან ერთხელ უკვე გაიმარჯვა სწორეთ პარიზის კომპრომისის შესახებ, მაგრამ, ჰორის დაცემის შემდეგ, «ხალხური ფორმტი» სოციალისტების და კომუნისტების მონაწილეობით, დობლებსა ჰყრის პირიდან... აქეთ კიდევ ერთიმ უარი სთქვა რადიკალთა პარტიის თავმჯდომარეობაზე, მისი მომხრენიც ლავალზე იღესენ კბილებს: ესაა დამნაშავე და არა ჰორიო, მან შეაცდინა ისაო!

რაში შეაცდინა? იმაში, რომ ზავი უნდოდა, არ უნდოდა იტალია მოვლიჯა ევროპისთვის. ლიტვინოვის შოადგილე პოტიომკინი მოითხოვდა ყენგვაში, კომპრომისის პირწავარდნით უარყოფითო; პოტიომკინი მოსკოვის ელჩი პარიზში, მკითხველი მიხვდება რას ნიშნავს მისი მოთხოვნა: ლავალის გადაადგებას! აქაც მოსკოვის ხელია, ხედავენ, ჯავრი წუ გაქვთ...

იური ნიკოლოზის ძე მარტი (ნეკროლოგი)

ფრიად სამწუხარო ამბავი მივიღეთ ტფილისიდან. ჯერ ერთი წელი ძლივს შესრულდა, რაც დავკარგეთ ბუმბერაზი მეცნიერი ნიკო იაკობის ძე მარტი და ესლა მას თან მიჰყოლია ერთად ერთი მისი შვილი იური მარტი, რომელიც ხუთ დეკემბერს დაუკრძალავთ თბილისში ახალი ვერის სასაფლაოზე.

იური მარტი პატარაობიდან არაჩვეულებრივი ბავში იყო, კვირცხლი, სიმპატიური, ნიჭიერი, კაცთ მოყვარე, მასთან თავისებური, უშიშარი და გაბედული. მამისაგან მას გამოჰყვა ნიჭი ენების ადვილად შესწავლისა და თანაც მერყეობა ახალგაზდობაში მიმართულებისა და პროფესიის არჩევაში, ჯერ კიდევ გიმნაზიაში ადვილად შეითვისა ყველა ევროპული ენები, ასე რომ ერთმა მისმა ნათესავ პროფესორმა თარჯიმნად ის წაიყვანა ევროპაში და ამერიკაში მოგზაურობის დროს. გიმნაზია რომ გაათავა, ის გაიტაცა სურვილმა მოეარა რუსეთი და გასცნობოდა ხალხს. ბოსიაკის სახით გაიქრა სახლიდან და დაიწყო მოგზაურობა. მამა მისი ნიკო მარტი მწერდა, შვილი ჩემსავით მოხეტიალე გამომივიდა და მანდ თუ მოვიდეს, ყურადღება მიაქციეო. კარგა ხნის შემდეგ მართლა გამოჩნდა ტფილისში, ცოტა ხანი ჩემთან დაჰყო და შემდეგ გურიაში წავიდა. მე სიტყვა მომცა, რომ მალე დაბრუნდებოდა მამასთან პეტერბურგში და მართლაც დაბრუნდა, ამავე დროს სულ ახალგაზდამ ცოლი შეირთო და უნივერსიტეტში განაგრძო სწავლა აღმოსავლეთის ენების ფაკულტეტზე, და დიდი წარმატება გამოიჩინა ამ ენების შესწავლაში. ხოლო როდესაც ომი დაიწყო, ომმა გაიტაცა და ქართულს ცხენოსანთა ესკადრონი ჩაეწერა, რომელიც სპარსეთში იყო გაგზავნილი სამოქმედოთ. როგორ შეეთვისა სამხედრო სამსახურს არ ვიცი, ხოლო ეს კი ვიცი, რომ ყველა ამხანაგებში დიდი სიყვარული დამისახურა. ამ დროს ის განსაკუთრებით ცხენების სიყვარულმა გაიტაცა, საოცრად უვლიდა და აპატივებდა ცხენებს მისას თუ სხვისას, სულ ერთი იყო მისთვის. ერთხელ მითხრა, ცხენებს მე ველაპარაკები, ჩემი ლაპარაკი ესმითო. მე რომ საჯინობოში შევდივარ, ყველა ცხენები ალერს ფენის ბაკუნით მიცხადებენო. რევოლუციის დროს ესკადრონი ტფილისში დაბრუნდა და დაიშალა. იური გურიაში წავიდა თავის მამის სოფელში და ერთხანად იქ მსწავლელობდა. შემდეგ შოვიდა ჩემთან ტფილისში და შონდომა პეტერბურგში დაბრუნება მოზობლებთან და ცოლშვილთან, ცოლი და ერთი შვილი, ვაჟი, იქ ყავდა დატოვებული. გაემგზავრა, მაგრამ ჩრდილო კავკასიაში და ნამეტნავად როსტოვის ხაზზე ხან ბოლშევიკების რაზმებს გადაელბა, ხან თეთრგვარდიელების რაზმებს, ხან ერთ რაზმში იღებდა მონაწილეობას მეორის წინააღმდეგ, ხან მეორეში პირველის წინააღმდეგ. ერთიც და მეორეც დახვრეტას უპირებდენ, მაგრამ თავის სიმკვირცხლით დაადწინა თავი და როგორც იყო მოვიდა ჩვეთან ტფილისში. ჩვენ მაშინ ქართული უნივერსიტეტი გახსნილი გვქონდა და მისი სურვილისა-

მებრ მოვთავსეთ უნივერსიტეტში, როგორც სპორტო-ფეხბურთის მოსამზადებელი ასპირანტი. ამ დღიდან მისი მერყეობა მიმართულების და პროფესიის ძებნაში მოისპო და ის მუყაითად და გატაცებით შეუდგა სპარსული ენის და ლიტერატურის შესწავლას. ამავე დროს ფუტურისტულ ლექსებსაც ათავსებდა ხანდახან ტფილისის გაზეთებში, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლიდა და სამეცნიერო ასპარეზი საშუალოდ გახდა საგანი მისი ცხოვრებისა. მოკლე დროში თავის დიდი ნიჭის გამო ის შეიქმნა კარგათ მომზადებული ირანისტი, მუშაობდა ჩემი წამოსვლის შემდეგ კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიურ ინსტიტუტში. აქედან ის უგზავნიდა ხშირად სტატიებს სპარსული პოეზიის დარგიდან აკადემიკოს ბარტოლდს და ბარტოლდი ათავსებდა მოხსენებათა სახით აკადემიის გამოცემებში, შემდეგ ის გადავიდა «სამეცნიერო გამოკვლევათა ინსტიტუტში» კავკასიის მცოდნეობისა», რომელიც მამა მისმა, ნიკო მარომა, დაარსა ტფილისში და მას ჰქონდა ჩაბარებული ხელმძღვანელობა მახლობელი აღმოსავლეთის სექტორისა. უკანასკნელ დროს საბჭოთა აკადემიამ მას მიანიჭა ხარისხი ისტორიის და ლიტერატურის დოქტორობისა.

როდესაც ფირდოუსის ათასი წლის იუბილეს იხდიდენ, იური მივლინებულ იქმნა სპარსეთში საქართველოდან. მისმა მოხსენებამ ფირდოუსის ნაწარმოების შესახებ აღტაცებაში მოიყვანა სპარსეთის მეცნიერები და ლიტერატორთა წრეები, გაცემული დარჩენ განსაკუთრებით მისი ერთდღიით სპარსულ ლიტერატურაში. სპარსეთის მთავრობამ ის დააჯილდოვა პირველ ხარისხოვან ორდენით «დამსახურებისათვის კულტურულ ფრონტზე». მის მთავარ კვლევის საგანს შეადგენდა ქართულ-სპარსული პოეზიის და ლიტერატურის დამოკიდებულობა და კავშირი, პარალელები და მიმართულებანი და აგრეთვე მათი გადახლართვა საერთო კულტურულ მოვლენათა თანა. სწორედ ის, რაც ჩვენთვის ასე პირველ ხარისხოვანია, და აი ამ დროს, როცა ის საუცხოოთ მოემზადა და მისი ნიჭი და ტალანტი ფართოდ უნდა გაშლილიყო, ამ დროს მოუწია სასტიკმა სენმა, ჭლექმა და იმსხვერპლა ახალგაზდა მეცნიერი და უებრო სიმპატიური ადამიანი 42 წლის ასაკის მქონე მხოლოდ. მას აღარ დასცალდა, მამამისსავით კაპიტალური ნაწარმოებნი და გამოკვლევანი დაეტოვებია ჩვენთვის, ისე პატარ-პატარა სტატიები ბევრი აქვს, სწორედ 80 სტატია აქვს დაწერილი, მაგრამ ჩემამდის მეთედს არ მოუღწევია. ესლა საბჭოთა აკადემიაში იბეჭდება დიდი მისი კრებული სტატიებისა «ნიჰამ-ხაკან-რუსთაველი». სხვათა შორის მას საბჭოთა ენციკლოპედიაში მოუთავსებია ირანის ისტორია სეფეიდების დინასტიიდან დაწყებული, მაგრამ ჩვენ ეს სტატია არ ჩავგარდნია ხელში. ვეფხის ტყაოსნის ზოგიერთი ადგილების შესახებ მან რამდენიმე საყურადღებო წერილები და შენიშვნები დასტოვა. აკადემიკოს ნიკო მაროის ხსენებასთან ერთად საუკუნოდ დარჩება მისი ნიჭიერი შვილის იური მაროის ხსენებაც ჩვენში.

ქ. თაყაიშვილი.

წმინდი ამიერიკიდან

შეერთებულ შტატებმა ფილიპინის ხალხს მიანიჭა «დამოუკიდებლობა». ამ წლის 15 ნოემბერს ფილიპინის ხალხის მიერ არჩეულ პრეზიდენტმა მანუელ კევინომ საჯაროთ მიიღო ფიცი სამასი ათას ადამიანის თანდასწრებით. მათ შორის იყვნენ წარმომადგენელი შეერთებულ შტატებიდან: პრეზიდენტის თანამემწე გარნერი, სამხედრო მინისტრი დერნი და ასამდე კონგრესის და დიპლომატიის წევრი.

ეს იყო ერთ-ერთი უდიდესი მომენტი ფილიპინელების ისტორიაში. ჩვენ, პატარა ერმა, ვიცით რა ძვირფასია ასეთი მოვლენა და ამიტომ მეტი არ იქნება, მოკლედ მაინც გავცნოთ მათი მრავალფეროვან და საინტერესო ისტორიას.

ფილიპინის კუნძულები რიცხვით შვიდი ათასზე მეტია და ნაწილია მაღალის არქიპელაგის მრავალრიცხოვან კუნძულებისა. მდებარეობს ჩინეთის და იაპონიის სამხრეთით 500-700 მილის მანძილზე. 7.000 მილზეა შეერთებულ შტატებიდან. უდრის 100.000 მეტს ოთხკუთხ მილს. მცხოვრებთა რიცხვი თორმეტ მილიონს აღემატება. აქედან ათი მილიონი ქრისტიანია (კათოლიკე), დანარჩენი მუსულმანი და კერპთაყვანისმცემელი. ათ მილიონამდე ფილიპინის ხალხი დარჩინის ფერისაა (მოშავგვრემანო), დანარჩენი შავი და ყვითელ კანიანი და ევროპული თეთრი.

ფილიპინის კუნძულები აღმოაჩინა პორტუგალიის ცნობილ მოგზაურმა მაგელანმა 1521 წელს. ისპანია დაეპატრონა ფილიპე მეორეს დროს 1565 წ., აქედან წარმოსდგა კუნძულების სახელიც.

ფილიპინელებს დღევანდელი თავისუფლება არც ვისიმე გულკეთილობით ან და არც საჩუქრად მიუღიათ.—დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა დასჭირდათ თავის ვარემოება ხელს არ უწყობდა ფილიპინელებს თავისუფლების მოსაპოვლად. უმთავრესი მიზეზთავანი იყვნენ: 1) ხალხის განუვითარებლობა;—მათი ცივილიზაციურ ცხოვრებაში გამოსვლა მოხდა მხოლოდ უკანასკნელ სამ-ოთხ საუკუნეს წინეთ. 2) ეთნოგრაფიული დაქსაქსვა—ორმოცდაათზე მეტი სხვა და სხვა ენაა, აქედან დღეს 25-ს აქვს მწერლობა. 3) ისპანიელების კათოლიკურ სამღვდლოების მეტის მეტი მკაცრი რეჟიმი და უძრავი საკუთრების მფლობელობა და სხვა. ფილიპინელები მსხვერპლი იყვნენ სხვადასხვა ერების შეღოვებისა და ინტრიგებისა. მათ გამოიარეს მოკლე თარეში პორტუგალების, ინგლისელების, ჩინელების, იაპონელების და სხ. მაგრამ მათი ხანგრძლივი მფლობელნი იყვნენ ისპანიელები და ბოლოს, უკანასკნელ 35 წელს შეერთებულ შტატებში.

პირველ ხანებში,—მეთექვსმეტე და ნაწილი მეჩვიდმეტე საუკუნის, ევროპელების შემოსვლას ფილიპინელები მეგობრულად შეხვდენ, მაგრამ ბოლოს დაინახეს, რომ შემოტანილი «ცივილიზაცია» სულთამხუთავი და გამატყვევებელი იყო. მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეებში პასივური და სპორადიული წინააღმდეგობა და აჯანყებები იწყება, რო-



მელთაც ჯერ გარკვეული მიზანი არ ჰქონდა. ფილიპინელების პირველი ნაციონალური მოძრაობა დაიწყო 1812 წელს, როცა ისპანიის მეფემ ფერდინანდ მეშვიდემ გააუქმა ისპანიის ლიბერალური კონსტიტუცია. მას მოყვა სასტიკი რეპრესია და ფილიპინელების აქტიური მოძრაობა შენედა. სამაგიეროდ განვითარდა კულტურული მუშაობა. 1847 წ. დაარსდა პირველი დღიური გაზეთი «ლავსპერანხა». 1888 წ. ბარსელონაში (ისპანიაში) დაარსდა გაზეთი «ლა სოლიდარიდად», რომელიც ემსახურებოდა ფილიპინელების ინტერესებს, პროპაგანდას ეწეოდა ხალხის თვითგაცნობიერებისთვის და მოითხოვდა რეფორმებს ეკლესიასა და მთავრობაში. 1896 წელს იფეთქა აგრარულმა რევოლუციამ ემილიო აგვინალდოს მეთაურობით, რომელიც უმთავრესად მიმართული იყო ისპანიის სამღვდელთა და მონასტრების წინააღმდეგ. რომელთა ხელში ქონდათ დიდი მიწა—საკუთრება, მაგრამ ამ აჯანყებამ სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. 1898 წელს ატყდა ომი ისპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის. ოფიციალური მიზეზი იქონია იყო—ისპანელების მიერ უხეში და უღმობელო მოპყრობა კუნძულ კუბას მცხოვრებთა. ნამდვილი სარჩული კი ამ გამოსარჩლებისა იყო კაპიტანის ტეხის ანგარიშები და განზრახვა, რომ ჩაეგდოთ ხელში ეს მდიდარი და ახლო მდებარე კუნძული. ომი გამწვავდა. ეს ისარგებლეს ფილიპინელებმა და 12 ივნისს 1898 წელს გამოაცხადეს დამოუკიდებლობა. 15 სექტემბერს დამფუძნებელი კრება იყო მოწვეული, რომელსაც 29 წევმბერს დაამტკიცა კონსტიტუცია და რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია ემილიო აგვინალდო. მაგრამ სამწუხაროთ თავისუფლება ძალიან მოკლე ხნისა გამოდგა. ამ დროს შეერთებულ შტატებმა მოიგო ომი ისპანიასთან და სხვათა შორის ფილიპინელების სატანტო ქალაქ მანილაში გაგზავნა თავის სამხედრო ნაწილი, რომელსაც მალე შეტაკება მოუხდა ფილიპინელების ჯართან. ინციდენტი გართულდა და ფილიპინელებმა ომი გამოუცხადეს შეერთებულ შტატებს; ომი გაგრძელდა სამ წელიწადს და გათავდა ორივე მხარეს დიდი მსხვერპლით და ფილიპინელების დამოუკიდებლობის მოსპობით...

დღეს ეს დამოუკიდებლობა ფილიპინელებს უსიხსლოთ დაუბრუნდათ. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი არ იბრძოდნენ, პირიქით მოძრაობა გაორკეცებული იყო. მხოლოდ ხალხმა ისწავლა მეთოდი ბრძოლისა ამერიკელების ხელში. 1902 წლიდან ეს იყო მეთოდი დიდი კულტურული ბრძოლისა, მოკლებული ექსცესებს, არ აყოლილი პროვოკაციებს. მთელს მოძრაობას მხოლოდ ერთი გამოხატულება ჰქონდა—დამოუკიდებლობა...

ერთი რამ საყურადღებოა—თუ ფილიპინელების განმათავისუფლებელ მოძრაობაში მთელი მასა, ყველა ხალხები ამ მრავალ რიცხოვან კუნძულებისა არ ლებულობდნენ მონაწილეობას გაუგებრობის გამო (არიან მათ შორის ველურნიც), სამაგიეროდ არაფერი იყო მოწინააღმდეგე ამ მოძრაობისა: არც პარტია, არც კლასი, არც გამოჩენილა გავლენიანი მოღალატეც. ყველა სალი ელემენტები მონაწილეობას ღებუ-

ლობდნენ მოძრაობაში, ყველა მიიღებოდა მხოლოდ დამოუკიდებლობისკენ...

შეერთებულ შტატების მთავრობამ თანდათან დაუთმო მძლავრ და კანონიერს მოძრაობას და მოთხოვნებს. 1907 წ. მთავრობამ მიანიჭა კანონმდებლობის არჩევნები. 1916 წელს, ლიბერალი ვუდროვილსონის დროს, ფილიპინელებს მიეცათ მთავრობის არჩევნების ნება, რომელსაც ზედამხედველობდა ამერიკის წარმომადგენელი. 1934 წ. კონგრესის აქტით მიენიჭათ ნებართვა კონსტიტუციის შედგენისა და დაპირება სრული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის წლის განმავლობაში.

მართალია, ფილიპინელებს ბედი ქონდათ—მათ მოუხდათ შეერთებულ შტატების კულტურულ მთავრობასთან ბრძოლა (1899-1901 წლების სიმხეცე—სამხედრო ნაწილის ძალის უზუბატორობა იყო, რასაც მოყვა შეერთებულ შტატების სენატის მიერ გამოცემა). ამერიკელებს კარგად ახსოვთ თავის დამოუკიდებლობისთვის 160 წლის წინეთ ინგლისთან ბრძოლა. ფილიპინელებს არა ერთი მეგობარი და თავისუფლების მეტრძოლი გამოუჩნდათ თვით შტატების კონგრესში (სადაც ფილიპინელებს თავის წარმომადგენელი არასოდეს არ ყავდათ).

მაგრამ თავიდათავი იყო ფილიპინის მკვიდრთა შეგნება და ძალა, და ის გარემოება, რომ თვით ფილიპინელთაგან არ გამოსულა არც ერთი წრე, არც ერთი პარტია, რომ წინ აღდგომოდა დამოუკიდებლობის მოპოვებას, და—კიდევაც გაიმარჯვეს...

დღევანდელი «დამოუკიდებლობა» არ არის სრული. შეერთებულ შტატების მთავრობას ყავს თავის კანტროლი იქ, მაგრამ ეს არის დროებითი; კომერციულ და ფინანსიურ მხარის მოსაგვარებლად. 1945 წელში დამყარდება სრული დამოუკიდებლობა და თავისუფლება.

დღეს ფილიპინელები და შეერთებული შტატები მეგობრები არიან. სამხედრო ნაწილი და კარგად გამასპინძლებული ამერიკელი სტუმრები სახლში მიდიან. მასთან, ამ ნოემბრის დამღვეს, შეერთებულ შტატების პიდროპლანმა ფოსტის და მკირე რიცხოვან მოგზაურების ტარება, ამ 7.000 მილის მანძილზე, რეგულიარულად გამართა...

ორი დეკემბრის «ნიუორკ ტაიმს»-ში დაიბეჭდა წერილი «ნიუორკის დამხმარე საზოგადოების—რუსეთის ციხეში მყოფ და გადასახლებულ სოციალისტებისთვის». წერილი ხელმოწერილია ამ საზოგადოების მდივნის ქან მ. სტრანსკის მიერ. აგრეთვე აღნიშნულია სახელი და მისამართი, თუ სად მიიღება შემოწირულება. წერილში აღნიშნულია, რომ ციმბირში და საბჭოების ციხეებში იტანჯება მრავალი ქალი და კაცი, ბევრმაც სული დალია; შიმშილობისაგან და შიშველობისაგან; ისინი სრულებით უბრალონი არიან და მათი საქმე სასამართლოში არ გაუჩინებიათ. მათი დანაშაულია მხოლოდ ის, რომ სწამთ დემოკრატიზმი და წინააღმდეგნი არიან ტერორიზმის და დიქტატორობისა.

წერილში მოყვანილია მოკლე ბიოგრაფიული სია რუსეთის რევოლუციის რამდენიმე ცნობილ

პირის და მათი ტანჯული თავდასავალი. სიას ბო-
ლოს აწერია: «ტანჯულთა სიმრავლეს სახლგარე
არა აქვს, შეგვეძლო მათი სახელების მოყვანა გაუ-
თავებლათო». ამ სიაში არის ისილორე რამიშვილიც.
«ნიჟორკი ტაიშის» სწერს: «დიდ გაჰირვებუ მდგო-
მარეობაშია მოხუცებული რამიშვილი, რომელიც
თითქმის ოთხმოცი წლისაა. ის იყო ერთ ერთ მეტად
ფერადოვანი და გამოჩენილი პიროვნება რუსეთის
რევოლუციისა. ენუქიძემ, ცნობილმა ბოლშევიკე-
ბის ლიდერმა, თანამშრომელმა ლენინისა, ბოლო
დროს სტალინის მიერ კომუნისტურ პარტიიდან
გამორიცხულმა, მოუხერხა რამიშვილს მისი დაბადე-
ბის 75 წლის თავზე დაბრუნება კავკასიაში. რამიშვი-
ლი დაბრუნდა ტფილისში, მაგრამ იმას ნება არ მი-
სცეს იქ დარჩენისა. გადავიდა ქუთაისში, მაგრამ
იქაც ნება არ მისცეს გაჩერებისა. მერე წავიდა გორ-
ში, მაგრამ იქ მცხოვრებნი ისე დიდებულად და ტრი-
უმფიულად დახვდნენ, რომ ხელისუფლებამ გადაგ-
ზავნა ცენტრალურ აზიაში და ახლა არავინ იცის,
სად არის ეს საწყალი მოხუცებული კაცი და მისი
ავადმყოფი ცოლიო».

ნაურთ.

«აღმოსავლეთი მხარის გამოსვლი»

ამ სათაურით გერმანულ ენაზე გამოვიდა პრო-
ფესორ კარლ ტიანდერის 185 გვერდიანი წიგნი. რო-
მელიც რუსეთის უღლის ქვეშ მყოფ აღმოსავლეთ
ევროპის ერთა განმათავისუფლებელ მოძრაობის
ისტორიას წარმოადგენს. ტიანდერი წარმოშვებით
ფინლანდიელი შვედია. ის მრავალი წლის განმავ-
ლობაში იყო ისტორიის მასწავლებლად პეტერბურ-
გის ერთ-ერთ გიმნაზიაში და ამავე დროს თანამ-
შრომლობდა რუსეთის ეროვნული კითხვის პიონე-
რთა ვიწრო ჯგუფში. წიგნის პირველ ნაწილში ავ-
ტორი დალაგებით აგვიწერს რუსეთის ეროვნებათა
წარმოშობას და ვინაობას. მეტად საინტერესოა და
ღრმა ისტორიული ანალიზით აშუქებს როგორც
ძველი რუსეთის არასლავურ ისე სხვადასხვა სლავ-
ურ ერთა თავისებური წარმოშობის და ეროვნუ-
ლად ჩამოყალიბების პროცესს. ამტკიცებს თვით
რუს ყაზახთა ეროვნულ განსხვავებას რუსის ერის-
საგან.

შემდეგ აგრეთვე საინტერესოდ, შეიძლება ით-
ქვას, პირდაპირ დრამატიული მომხიბვლელობით
არის აწერილი აღნიშნულ ერთა რუსეთის მიერ და-
მონების, ჩაგვრის და მათი ბრძოლის ისტორია, გან-
საკუთრებით ამ ერთა ინტელიგენციის ბრძოლა
ეროვნული კულტურისა და თავისუფლებისათვის
და აგრეთვე თვით რუსეთის ინტელიგენციის მოწი-
ნავე წრეების დამოკიდებულება ამ ბრძოლებისად-
მი. ცნობილ დეკაბრისტებს საერთო ეროვნული
პროგრამა არ ქონდათ. კერძოდ პესტელი იყო ცნა-
რე რუსი ნაციონალისტი და ცენტრალისტი. ის მო-
ითხოვდა ფინების გარუსებას (!), კავკასიის წინამ-
დგე «სასტიკი ზომების» მიღებას და ებრაელთა მცი-
რე აზიაში გადასახლებას. მხოლოდ პოლონეთის-

თვის იმეტებდა თავისუფლებას და ისიც იმ უბრა-
ლო მიზნით, რომ დეკაბრისტებს კავშირი ქონდათ
პოლონელ საიდუმლო წრესთან, რომელიც დიდ ძა-
ლას წარმოადგენდა და რომელთანაც ერთად ცარი-
ზმის დამხობა სურდათ. სამაგიეროდ დეკაბრისტ
ნიკიტა მურავიოვს ჰქონდა შემუშავებული რუსე-
თის იმპერიის ფედერატიულ ნიადაგზე ჩამოყალი-
ბების მთლიანი გეგმა. ამ გეგმით უკრაინა ორ ერთე-
ულს წარმოადგენს, კავკასია ერთ მთლიან ერთეულს,
ტფილისის დედა-ქალაქებით, და ასე. მურავიოვის
პროგრამას ამა თუ იმ სახით მრავალი შემდგომი
დროის ავტონომისტები ეყრდნობა. ტიანდერი ვრც-
ლად მოგვითხრობს ფინლანდიის ბრძოლებზე; ფინ-
ლანდიას, როგორც ცნობილია თავიდანვე განსაკუ-
თრებული უფლებები ჰქონდა მინიჭებული, რომელ-
ნიც რუსეთის მემარჯვენეებს—პუტრიშკევიჩებს—მო-
სვენებას არ აძლევდა. ცოცხლად არის დასურათე-
ბული პოლონელ-ლიტოველ-ბელორუს ინტელიგე-
ნციის ბრძოლა, რომლის ცენტრს წარსული საუკუ-
ნის პირველ მესამედში ვილნოს უნივერსიტეტი წა-
რმოადგენდა. აქ ილწვოდა ამ უნივერსიტეტის კურა-
ტორი დიდი პოლონელი პატრიოტი ადამ ჩარტო-
რისკი (მეფე ალექსანდრე პირველის მასწავლებელ-
თვანი, რომელიც მას დემოკრატიულად იდევნასაც
უნებრავდა!), აქვე მოღვაწეობდნენ პოლონელი პოე-
ტი მიკიევიჩი, ბელორუსების მგასანი ბურჩიკ-
ბოგუშევიჩი და სხვანი. ამ ბრძოლებს მოყვება ჯერ
ადამ ჩარტორისკის გადაყენება და შემდეგ (1832)
თვით ვილნოს უნივერსიტეტის დახურვა, მისი ბიბ-
ლიოთეკის და მთელი ქონების პეტერბურგში გადა-
ტანით აგრეთვე ცოცხლად არის აღწერილი უკრაი-
ნის ინტელიგენციის კულტურული ბრძოლა, რომ-
ლის ცენტრი უცხოეთში, ლეოვის უნივერსიტეტთან
არსებობდა; აგრეთვე კიევში მეორმოცე წლებში
დაარსებული «კირილე და მეთოდეს კავშირი», რო-
მელშიაც ილწვოდნენ ნიკოლოზ კოსტომაროვი, ივან
კოტლიარევსკი, ცნობილი ტარას შევჩენკო, პანტე-
ლეიმონ კულიში და პოპულარული პოეტი ქალი
მარია მარკოვიჩი, მარკო ვაჩიკის ფსევდონიმით
ცნობილი. ავტორი არც კავკასიის ერებს ივიწყებს,
განსაკუთრებით ხაზგასმით იხსენიებს საქართველოს
და სომხეთის ძველ კულტურას და შამილის გმი-
რულ ომს. მაგრამ საერთოდ ნაწილი კავკასიაზედ
შედარებით მოკლეა და, უნდა ითქვას, შედარებით
სუსტიც.

მეტად საინტერესოა და გამტაცებელია ავტორის
პირადი მოგონებები ავტონომისტთა ჯგუფის მუ-
შაობიდან, რომლის წევრიც ის იყო და რომელშიაც
გარდა ჩაგრულ ერთა ინტელიგენციის წარმომადგე-
ნლებისა, შედიოდნენ ცნობილი რუსი მოღვაწე-მეც-
ნიერნი, როგორიც იყვენ პროფესორი მაქსიმ კოვა-
ლიუვსკი, პროფ. სლავინსკი, თავისი პავლე დოლ-
გოპუკოვი და სხვები. ტიანდერი ვრცლად აგვიწერს
ამ პიონერთა ჯგუფის პირველ საჯარო კრებას პე-
ტერბურგში, რომელიც 1915 წლის დეკემბერში იქნა
გამართული მ. კოვალიოვსკის თავმჯდომარეობით,
და რომელიც პოლიცემისტერის განკარგულებით
დახურულ იქნა პოლონელი მომხსენებლის, მოხუც

გენერალ ბაბიანსკის მხურვალე პატრიოტული სიტყვის გამო. მეორე კრება იმართება 1916 წლის მარტში პროფესორ გრედესკულის თავმჯდომარეობით (მ. კოვალევსკის გარდაცვალების შემდეგ). იმავე წელში ხდება გრაფ ორლოვ-დავიდოვის ბინაზე აღნიშნული წრის საიდუმლო კონფერენცია, რომელზედაც მთავარ როლს თამაშობს ცნობილი პოლონელი მეცნიერი ბოდუენ დე კურტენი. შემდეგ ხანებში ავტონომისტთა კომიტეტში შემოდიან ახალი ძალები, მათ შორის ქართველი პროფ. ზურაბ ავალიშვილი. ტიანდურ აგვიწერს ამ კომიტეტის ლიტერატურულ მოღვაწეობას—გამოცემებს სხვადასხვა ერთა ლიტერატურის შესახებ, თარგმანებს და სხვ., პროპაგანდას გავლენიან პირთა შორის და დამოკიდებულებას სახელმწიფო «დუმის» ავტონომისტურ ჯგუფებთან.

აგრეთვე საკმაოდ ვრცლად არის აწერილი ომის ბოლოს და რევოლუციის ხანებში წარმოებული ვადამწყვეტი ეროვნული ბრძოლები: ფინლანდიის, პოლონეთის, ბალტიის სახელმწიფოების და უკრაინის. შედარებით მოკლეთ ჩერდება ავტორი, როგორც ზევითაც აღვნიშნეთ, კავკასიის ერების ბრძოლებზე და მათ ტრადიკულ ბედზე. ეს შეიძლება ნაწილობრივ იმიტაც აიხსნებოდეს, რომ ავტორი ამიერ-კავკასიას ევროპას არ აკუთვნებს. თან ემჩნევა, რომ ის ჩვენს ვითარებას შედარებით ნაკლებად იცნობს.

განსაკუთრებით სამწუხარო ისაა, რომ ეს გატაცებული პიონერი ერთა თავისუფლებისა და ჩვენი მეგობარი ფინლანდიელი ერის პატრიოტი შეცდომაში შეყავს ბლოშევიკების ეროვნულ პოლიტიკას. მართალია ის თანაგრძნობით აგვიწერს აწ დაპყრობილ სახელმწიფოთა ბრძოლებს თავისუფლებისთვის, მაგრამ დაპყრობის შემდეგ ის, როგორც სჩანს, ადვილათ ურიგდება მომხდარ ფაქტს და კმაყოფილდება ძველი კულტურულ-ავტონომისტური თვალსაზრისით. ამვე დროს ბლოშევიკების რეჟიმის ქვეშ არსებულ ენათა ავტონომიას სთვლის ნამდვილ კულტურულ ავტონომიად. ვერ უწევს ჯეროვან ანგარიშს იმ ფაქტს, რომ საბჭოთა რეჟიმის ყოველმხრივ დახშულ პირობებში, სრული გონებრივ-პოლიტიკური დამონების და პოლიტიკურ-ეკონომურ-მილიტარულ ცენტრალიზმის სალტებში ნამდვილ კულტურულ ავტონომიაზედაც ლაპარაკი არ შეიძლება. ეს კიდევ იქნა აღნიშნული კრიტიკის მიერ გერმანულ-ავსტრიულ პრესაში. თვითონ ტიანდურიც ამბობს ერთ ალაგას:

«ჩვენ აქ გვიანტერესებს მხოლოდ ცდა და არა პრაქტიკული შედეგები, რომელნიც სავსებით კომუნისტური ცენტრალიზმის ნიშნის ქვეშ დგანან».

ამჟამად, ავტორს ავიწყდება, რომ «ცდა» და «კეთილი განზრახვები» უფრო თეორიის სფეროს ეკუთვნიან და რომ უფრო საინტერესო სწორედ «პრაქტიკული შედეგები» ანუ სინამდვილე არის. ავტორი ილუზიებსაც ეძლევა და ეს «ცდა» ხშირად სინამდვილედაც მიაჩნია. ცხადია ეს ილუზიონერობა ათქმევინებს მას შემდეგ ფრაზასაც: «აღბად სტალინი (როგორც კავკასიელი) კავკასიის ერებისთვის მტ

თავისუფლებას ახორციელებს», მაშინ როდესაც სინამდვილეში სტალინ-ორჯონიკიძეთა რუსული ცენტრალიზმი, როგორც საერთოდ ცნობილია და როგორც ეს თვით ლენინმაც აღნიშნა, ყოველგვარ რუსულ შოვინიზმზე უარესია. ვინ არ იცის, რომ ისინი თავიანთი «ინტერნაციონალიზმის» დასამტკიცებლად სწორედ კავკასიის ერთა და უპირველესად ქართველი ერის უსაშინელეს ჯალათებად არიან გადაქცეულნი?

მაგრამ მიუხედავად ამ შეცდომებისა, რომლებზედაც მითითება ჩვენი ვალია ყოველგვან, სადაც შესაძლებელია, «აღმოსავლეთ ევროპის გამოადვიება» წარმოადგენს მნიშვნელოვან ისტორიულ მასალას ძველი და დღევანდელი რუსეთის მიერ დაჩაგრულ ერთა ვითარების გასაცნობად უცხოელებისათვის.
ნ. ი.

დ. შაკაშიძის გადაცვალების გამო

სამძიმრების დეპეშათა და წერილთა სიაში შეცდომით გამოგვრჩა წერილი ბ-ნ ალ. ხატისიანისა, რომელიც სწუხს, რომ გარემოებამ ხელი შეუშალა დ. შაკაშიძის დასაფლავებას დასწრებოდა, და გულთადს თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახობას.

გვიგონო კიკიანი

ქართველთათვის გათხრილ საფლავებს უცხოეთში კიდევ მივმატა ერთი, პრადის ერთ-ერთ საუკეთესო სანატორიუმში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფილტვების და ყელის ქლექით ემიგრანტი გრ. კიკიანი ქუთაისიდან, ქართული სამხედრო სკოლის იუნკერი. განსვენებულმა დასტოვა საქართველო დღიდან მისი ოკუპაციისა და ცოტა ხნის სტამბოლში ყოფნის შემდეგ გამგზავრა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც ის მიღებულ იქნა პრადის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელში რესპუბლიკის მთავრობის სტიპენტიატად. მას მალე გამოაჩნდა ქლექის ნიშნები და იძულებული იყო სწავლა შეეწყვიტა. მთელი ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფი იჯანვებოდა სხვადასხვა ადგილას სანატორიუმებში იმავე რესპუბლიკის დაწესებულებების თუ წით. ჯვრის ხარჯით და მას არ აკლდა არაფერი ექიმობის და მოვლის მხრით, რაც უსათუოდ უნდა დარჩეს დიდ ნუგეზად მისი უბედური მშობლებისთვის, როცა ამ თავზე ზარის დამცემ ცნობას გაიგებენ იქ.

გრ. კიკიანი დავასაფლავეთ პრადაში 13 დეკემბერს თანახმად მისი სურვილისა თავისივე წესით. დასაფლავებას დაეწერა ყველა ქართველები პრადაში და მის ახლო-მახლო მცხოვრებნი. ცოცხალი ყვაილებსაგან შემკობილ გვირგვინზე წარწერილი იყო: დამწუხრებული ქართველი ემიგრანტები—გრიგოლ კიკიანი.
ლ.

ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაცია კვირას, 19 იანვარს, Musée Social-ის დარბაზში მართავს დილას 9 აქა - ფ შ ა ვ ე ლ ა ს გარდაცვალების დღიდან 20 წ. აღსანიშნავად.

„ღამოშკ. საქართველოს“ 1935 წ. სარჩევი

I. მეთაურები:

1934 წლის ჯამი 109. საბჭოთა კავშირის მეშვიდე ყრილობა 110. კავკასიის საბჭო 111. პ. რენოდელი 112. დამოუკიდებლობის დღე 113. მარშალ პილსუდსკი 113-ა. სომხეთი კავკასიაში 114. დასასრული დასაწყისი 115. კახაკების თვითგამორკვევა 116. აგვისტოს აჯანყება 116. ისტორიული თარიღი 117. წითელი ჯანდარში 118. საბჭოთა წლის თავი 119. ათი წელი 120.

II. წერილები:

დარბაისელი. ერთი წინასწარმეტყველება 112.
თაყაიშვილი გ. ბიბლიოგრაფია. თარხან-მოურავის ვეფხის ტყაოსანი 118. იური ნიკოლოზის ძე მარტი 120.
ინგილოვ. საარი და ქართლის ბედი 110. ილუზიები და სინამდვილე 112. V—26 113. ამხედრებული იტალია 118.
ივ—ძე. ინტერნაციონალი და ომი 117.
ი. ნ. აღმოსავ. ევროპის გამოღვიძება 120.
კაკაბაძე გ. კომუნისტები საქართველოში 110, 111, 112, 114, 115. საოკუპაციო ხელისუფლება და 26 მაისი 113.
კანდელაკი კ. მეგობრის სსოვნას 119.
კომანდო. კავკასიის პაქტის გამო 109.
ლემთათიძე გ. შოთა რუსთაველის გარშემო 109. ჩეხოსლოვაკიის ჟურნალისტების დელეგაცია რუსეთში 111. კარგი პრესა 115.
მანწკავა ი. ვაჟა ფშაველა 119.
ნუგუბიძე ი. 26 მაისი 113.
ყორდანია ნ. პილსუდსკი 113-ა.
ყორქელიანი ა. დიდი ლტოლვილი (ვიქტორ პიუგო) 114-115.
ქუთუღი გ. კავკასიის კონფედერაციის კითხვების ირგვლივ 116—120.
სალაყაია ი. წყნარ ოკეანეს პრობლემა 110, 111, 114-17. პილსუდსკის ცხოვრება 113-ა.
ჟ. მ. ჩვენი ეკონომიური პერსპექტივები და კონფედერაციის პაქტი 109-111.
ფინცხალავა ხ. როგორ ვიდგენსაწაულოთ 113. მშობლებო, შვილები გელუბებათ 118. ძვირფასი ღირსება 119. კალევალა 112. ჩვენი ეროვნული გამძლეობა 120.
შავიშვილი ხ. ერის სამავალითა ბელადი (მასარიკი) 111.
წულუკიძე მ. მოსანი (აკაკი წერეთელი) 109. ძველი წიგნი ძველის ამბით 112.

III. საქართველოს საკითხის გარშემო: მიმე ულლის ქვეშ მყოფ ერის ტრადიცია 114. ჩვენი ეროვნული დღეობა ენევეაში 114. ერთა ლიგის დამხმარე საზოგად. კონგრესი 115. საქართველოს საკითხი 117, 118. პენდერსონი და საქართველოს დამოუკიდებლობა 119. ჟურნ. «ნაციონ უნდ შტატ» 119.

IV. კავკასია: კავკასიელთა წრე ბორდოში 109. კავკასიის კონფერენცია 111. საერთო ენა ჩრდილო კავკასიისთვის 112. სომხური პრესა 114. კავკასიის ერთა დამოუკიდებლობის დღე ვარშავაში 115. ჩრდილო კავკასიელთა შორის 115. ჩვენს ჩრდილო კავკასიელ მეგობრებს 116. ნოტა ერთა ლიგის თავმჯდომარეს 117. პრესა (ადერბაიჯ.) 119. «ჰუსაბერ»-ის წერილი 120. «ჰუსაბერ»-ის წერილის გამო 120.

V. კორესპონდენციები: წერილები ამერიკიდან, ნაურისა 109-111, 113-120. წერილი ხარბინიდან 117.

VI. ქართველები უცხოეთში: ბორდოს ქართველთა შორის 110. ქართველ ლტოლვილთა ოფისი 112. ბორდოს კავკასიელთა წრე 112. ქართული ოფისის ირგვლივ 114. 26 მაისი პარიზში 114. ქართველები საფრანგეთში 114, 116, 118, 119. ქართველები პოლონეთში 114, 115. ოფისის გარშემო 116. ქართველები ბელგიაში 116. ქართველები ხარბინში 116. ქართველთა კალენია ვარშავაში 117. აჯანყების წლის თავი 117.

VII. საქართველოს ამბები: 111, 119, 120. ორი-ოდე სიტყვა აჭარაზე, ასლანისა 109.

VIII. უცხოეთი: უცხოეთის მიმოხილვა 110, 112, 114, 116-120. პარიზ-მოსკოვის პაქტის შესახებ გერმან. პრესა 113. პილსუდსკის გარდაცვალების ირგვლივ 113-ა. იტალიის ჟურნალისტი რუსეთში 115. ერთა ლიგის ირგვლივ 118.

IX. ნეკროლოგები: პ. თუმანიშვილი 109. ე. ვერნერი 110. გ. მაჩაბელი 112. პრ. ჩხენკელი 112. ნიკო მარტის სსოვნას 112. პანაშვიდები 114. ალ. მდივანი 116. ფრ. ფილიოლი 118. უკანასკნელი სალაში (დ. შარაშიძის დასაფლავება) 119. გრ. კიკიანი 120.

X. ბიბლიოგრაფია: ახალი ფრანგული წიგნები საქართველოზე, ხ. შავიშვილისა 109. ახალი წიგნი 109. კ. კანდელაკის «საქარ. ეროვნ. მეურნეობა 111. თევზაძის წიგნი პოლონურად 112. ახალი წიგნი (მიჯაჭული პრომეთე 117. Georgia გუშავისა 119.

XI. სხვადასხვა: წერილები რედაქციის მიმართ 109, 111, 112, 114, 118. პრესა 110. უკრაინელთა გაერთიანება 111. უკრაინელთა შორის 113, 115.